ლელო

№ 83
(11043)

18 — 20 დეკემბერი, 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

FRANCE 98
COUPE DU MONDE
© 1994 FSL TM

## მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — 98

გაიმართა საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩები.

### ევროპა

**V ჯგუფი**

კვიპროსი – ბულგარეთი 1-3

0-1 ბალაკოვი (23), 1-1 პიტასი (29), 1-2 ბალაკოვი (34), 1-3 ილიევი (56). კვიპროსელმა გოგიჩმა (75) პენალტი ვერ გამოიყენა.

ისრაელი – ლუქსემბურგი 1-0

ოჰანა (40)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-1 | 7 |
| ისრაელი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| კვიპროსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**VI ჯგუფი**

ესპანეთი — იუგოსლავია 2-0

1-0 გვარდიოლა (19, პენალტით), 2-0 რაული (28)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 5 | 4 | 0 | 1 | 17-4 | 12 |
| სლოვაკეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-1 | 9 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-1 | 4 |
| ფარერები | 5 | 0 | 0 | 5 | 5-22 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-18 | 0 |

**VII ჯგუფი**

ბელგია–ჰოლანდია 0-3

0-1 ბერგკამპი (25), 0-2 ზეედორფი (29), 0-3 იონკი (90, პენალტით).

დენის ბერგკამპი

უელსი – თურქეთი 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 13-2 | 9 |
| უელსი | 5 | 2 | 1 | 2 | 13-10 | 7 |
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 8-2 | 4 |
| სან-მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 0-21 | 0 |

**VIII ჯგუფი**

მაკედონია – რუმინეთი 0-3

0-1, 0-2, 0-3 პოპესკუ (19, 31, 90 — პენალტით)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-0 | 9 |
| ირლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-0 | 7 |
| მაკედონია | 5 | 2 | 1 | 0 | 15-8 | 7 |
| ლიტვა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| ისლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1-7 | 2 |
| ლიხტენშტეინი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-21 | 0 |

გეორგ პოპესკუ

**IX ჯგუფი**

პორტუგალია – გერმანია 0-0

ჩრდ. ირლანდია – ალბანეთი 2-0

1-0, 2-0 დაუი (12, 22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| ჩრდ. ირლანდ. | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| გერმანია | 3 | 1 | 2 | 0 | 6-2 | 5 |
| სომხეთი | 4 | 0 | 3 | 1 | 3-7 | 3 |
| ალბანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

### სამხრეთ ამერიკა

ვენესუელა – კოლუმბია 0-2

0-1 ბერმუდესი (8), 0-2 ვალენსიანო (50)

არგენტინა – ჩილე 1-1

0-1 კორნეხო (48), 1-1 ბატისტუტა (70, პენალტით)

ბოლივია – პარაგვაი 0-0

ურუგვაი – პერუ 2-0

1-0 მონტერო (3), 2-0 ბენგოეჩეა (39)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 7 | 5 | 2 | 0 | 14-5 | 17 |
| პარაგვაი | 5 | 3 | 2 | 1 | 6-3 | 11 |
| არგენტინა | 6 | 2 | 3 | 1 | 10-7 | 9 |
| ეკვადორი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-7 | 9 |
| ურუგვაი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| ბოლივია | 6 | 2 | 2 | 2 | 9-7 | 8 |
| პერუ | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 |
| ჩილე | 5 | 1 | 2 | 2 | 8-9 | 5 |
| ვენესუელა | 7 | 0 | 1 | 6 | 5-21 | 1 |

### კონკაკაფის ზონა

პანამა – კუბა 3-1

აშშ – კოსტა-რიკა 2-1

# ახალი სკანდალი – ბაჯო და საკი კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს!

## ნიცოლა — ფედერაციაში, მალდინი — „სკუადრა აძურაში“

არიგო საკი

რობერტო ბაჯო

ჩეზარე მალდინი

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე, ყოველგვარი ვნებათაღელვის გარეშე, როგორც „ლელომ“ ივარაუდა, აირჩიეს გადამდგარი ანტონიო მატარეზეს მემკვიდრე. ამიერიდან ფედერაციის თავკაცია 63 წლის **ლუჩანო ნიცოლა** – სერია A და B ლიგების ყოფილი ხელმძღვანელი.

პირველი, რაც ახალმა პრეზიდენტმა მოიმოქმედა – გამოსცა ბრძანება „სკუადრა აძურას“ მთავარ მწვრთნელად **ჩეზარე მალდინის** დანიშვნის შესახებ. შეგახსენებთ, 64 წლის მალდინი აქამდე ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა და მისი ხელმძღვანელობით 21 წლამდე ასაკის ნაკრებმა ზედიზედ სამჯერ – 1992, 1994, 1996 წლებში მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონის წოდება.

ვნებათაღელვა უფრო სხვაგან მოხდა – მთელი იტალია ბჭობს, სად, რომელ კლუბში გადავა მისი კერპი **რობერტო ბაჯო**. გუშინწინ მან ოფიციალურად განაცხადა, რომ ტოვებს „მილანს“ და ამის მიზეზად არიგო საკისთან წარმოქმნილ კონფლიქტს ასახელებს. ვარსკვლავი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა „ინტერში“ გააგრძელოს თავისი კარიერა.

ბაჯოს განცხადებიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ მისი შეძენის სურვილი გამოთქვეს „პარმამ“, „ნაპოლიმ“, „ინტერმა“, „ფიორენტინამ“. არც სხვა ქვეყნის კლუბები დარჩენილან განზე, განსაკუთრებით ინგლისელები აქტიურობენ. ასე, „ტოტენჰემი“ მზადაა იტალიელში 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. ამდენივე თანხას ჩადის „მანჩესტერ იუნაიტედი“. როგორ გეკადრებათ – თავი წამოჰყო „ნიუკასლმა“, – ბაჯოსთან მოლაპარაკება ჩვენ ჯერ კიდევ ზაფხულში დავიწყეთო! და, თქვენ წარმოიდგინეთ, „მილანს“ ბაჯოს შეძენის სურვილით ოფიციალურად მიმართეს იაპონიიდან, ჩინეთიდან და აშშ-დან.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იმთავითვე ნათელია, რომ ბაჯოსთან მიმართებაში „მილანმა“ იზარალა: თავის დროზე ამ კლუბმა ვარსკვლავში 15 მილიონი დოლარი გადაუხადა „იუვენტუსს“, ბაჯოს ახლანდელი ფასი კი 5 მილიონია. „ბოსმანის საქმიდან“ გამომდინარე სეზონის ბოლოს „მილანმა“ რობერტოში შესაძლოა ერთი ლირაც ვერ მიიღოს, ვინაიდან იმ დროს მას კონტრაქტი უმთავრდება. ამიტომ კლუბმა უნდა იჩქაროს, რათა ფეხბურთელი მალე გაყიდოს.

## ქეცბაია – „რეინჯერსში“?

წინა ნომერში ვიტყობინებოდით, რომ შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსმა“ 9,5 მილიონი დოლარი გადაიხადა ჩილელ ბომბარდირში, 20 წლის სებასტიან როზენტალში.

ახლახანს ცნობილი გახდა, რომ გლაზგოელები კიდევ ერთი შენაძენის გაკეთებას აპირებენ: კლუბის სელექციონერებმა რეკომენდაცია გაუწიეს საბერძნეთის „აეკისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველს **თემურ ქეცბაიას**. თუ ეს ტრანსფერი შედგა, ქეცბაია იქნება პირველი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც შოტლანდიაში ითამაშებს.

ერთი წელია, რაც ცნობილი ქართველი მხატვრული ტანმოვარჯიშე **ირმა ყიფშიძე** გერმანიის ქალაქ ბერჰაიში მოღვაწეობს. იგი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია, წლების განმავლობაში ირიცხებოდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, რომლის შემადგენლობაში 1986 წელს მსოფლიოს თასს დაეუფლა ჯგუფურ ვარჯიშში, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონიც გახდა.

24 წლის ქართველი სპორტსმენი გერმანიაშიც ძალზე პოპულარულია. მისი ნატიფი ვარჯიში ყოველთვის უამრავ მაყურებელს იზიდავს. იქ იგი ნორჩებს ავარჯიშებს და თავადაც საჩვენებელ გამოსვლებს აწყობს. ერთ-ერთმა მისმა გამოსვლამ ნამდვილი ტრიუმფით ჩაიარა ამ ქალაქში. ამის გამო ადგილობრივმა პრესამ აღნიშნა: „ირმა ყიფშიძის გამოსვლა საღამოს კულმინაცია გახლდათ: ქართული სპორტის წარმომადგენელი ირმა ყიფშიძე მისი ორი გამოსვლით საღამოს ჭეშმარიტი ვარსკვლავი იყო.

მანვე დაიმსახურა უზარმაზარი ტაში ბერჰაის კულტურის სახლში“.

სურათზე: სარბიელზეა ირმა ყიფშიძე.

რეპროდუქცია გერმანული გაზეთიდან

## ქართველი და რუსი პარლამენტარები ურთიერთობას ფეხბურთშიც გაარკვევენ

მიღწეული შეთანხმების თანახმად, გაისად, 17 მაისს თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საფეხბურთო მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ქართველი და რუსი პარლამენტარები.

## „აიეტი ტვ“-ის საშობაო ტურნირზე

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს „აიეტი ტვ“-ის საშობაო ტურნირი მინი-ფეხბურთში. მასში 20 გუნდი ასპარეზობს, გუნდები დაყოფილნი არიან ოთხ ჯგუფად.

გთავაზობთ უკვე ჩატარებული მატჩების შედეგებს:

„A“ ჯგუფი მედიკოსები — ტელევიზია 2-3, აიეტი — გაენათი 13-2, გაენათი — ტელევიზია 2-2, აიეტი — თურქები 9-3.

„B“ ჯგუფი ენერგეტიკოსი — ცისარტყელა 0-0, დინამო-2 — თემქა 2-1, თემქა — ცისარტყელა 3-1, დინამო-2 — XXI საუკუნე 5-3.

„C“ ჯგუფი ვაკე — სამხატვრო აკადემია 6-1, ვითა — ორბი 5-1, ორბი — სამხატვრო აკადემია 1-2, ვითა — ბიომედიკოსები 12-0.

„D“ ჯგუფი ხილიანი — ფალავანი 6-2, საბურთალო-2 — არწივები 4-2, ფალავანი — არწივები 0-3, საბურთალო — ერისთავი 7-1.

## ქართული კალათბურთი რამდენიმე განზომილებით

### ისრაელს გაემგზავრნენ

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრები ისრაელს გაემგზავრა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის „A" ჯგუფში განმეორებით მატჩის გასამართავად.

სხვა შეხვედრებისგან განსხვავებით ჩვენები ამჯერად ერთი ცენტრალური თავდამსხმელის — ვლადიმერ სტეფანიას ამარა იქნებიან, კახაბერ შენგელია ტრავმირებულია. ხოლო სლოვაკეთში გასასინჯად წასული დავით ბერძენიშვილის ჩამოყვანა ვერ მოხერხდა.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ საქართველოს გუნდს ჯერჯერობით ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსები აქვს. ამისათვის საჭიროა ყველა დარჩენილი მატჩის მოგება.

### ევროპის თასი

X ტური ● „H" ჯგუფი

კიორმენდი (უნგრეთი) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი) 84:79,

ფთთ (თურქეთი) — რიელო (იტალია) 74:64, ბედუჩნოსტი (იუგოსლავია) — ვითა (საქართველო) 93:56.

ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრის ჩასატარებლად იუგოსლავიაში ჩვენი გუნდი, უსახსრობის გამო; 7 კალათბურთელის შემადგენლობით გაემგზავრა და, ცხადია, მოედანზე წასაგებად განწირული გამოვიდა.

ამრიგად, ევროპის თასის ასპარეზობის დებიუტანტმა თბილისის „ვითამ" ჯგუფურ ტურნირში 10 მატჩი ჩაატარა, 8 წააგო, 2 მოიგო და „H" ჯგუფში, უკანასკნელი ადგილი დაიკავა. იგი ბოლოსწინა ადგილზე გასულ „ბუდუჩნოსტთან" ერთად ბრძოლას გამოეთიშა.

1/16 ფინალში, რომელიც 14 და 21 იანვარს გაიმართება, ინგლისის „ლონდონ თაუერზი" — რუსეთის „ავტოდორს", უნგრეთის „კიორმენდი" — ესპანეთის „ტდკ"-ს, ფინეთის „ტორპან პოიატი" — თურქეთის „ფთთ"-ს, იუგოსლავიის „ბეოციჩი" კი იტალიის „რიელოს" შეხვდება.

### ეროვნული ჩემპიონატი

მეორე წრე ● ქალები

მეობა-1 — მართვე-2 100:27
მეობა-2 — სტუ 31:75
თსუ — მეობა-2 53:48
მართვე-1 — მეობა-1 24:130
მართვე-2 — სტუ 27:73
მეობა-2 — მართვე-2 55:45
მეობა-1 — თსუ 111:41
სტუ — მართვე-1 83:19
მართვე-1 — მართვე-2 43:49
თსუ — სტუ 46:93
მეობა-1 — მეობა-2 86:31
მეობა-2 — მართვე-1 72:55
მართვე-2 — თსუ 36:60
მეობა-1 — სტუ 72:62

---

უბერებელნი

# ჭიდაობას მაინც ვერ ელევა

ოთარ ყურაშვილი. ამ 41 წლის ხოვლელი ფალავნის სახელი კარგადაა ცნობილი ჭიდაობის მოყვარულთათვის. მისი წარმატებების ნუსხა ასე გამოიყურება:

საქართველოს ორგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში – 1973-75 წლებში.

საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი 100 კგ წონაში.

ამდენჯერვე გაიმარჯვა სამბოში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ახალგაზრდა სამბისტთა შორის.

სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების ორგზის ჩემპიონი ძიუდოში (95 კგ), ამავე სახეობაში ალჟირის, ბუდაპეშტის, მაინის ფრანკფურტის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ორგზის „დინამოს" ცენტრალური საბჭოსა და რვაგზის „უროჟაის" ჩემპიონი.

12 წელი იყო საკავშირო ნაკრების წევრი. ეს ყველაფერი მისი გუშინდელი დღეა.

ოთარ ყურაშვილი

დღეს კი? შიდა ქართლის ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონალური სამმართველოს უფროსი ინსპექტორია და პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის წოდება აქვს. ასეთი სოლიდური რეგალიების კაცმა დროა, საჭიდაო ჩოხა გადაძოს, პატრონი კი გარდასულ დღეთა ტკბილ მოგონებას ეძლეოდეს. მაგრამ, ოთარ ყურაშვილს, რომ იტყვიან, ჭიდაობის ჭია სულში აქვს გამჯდარი, ჩოხა და საჭიდაო მას დღესაც არ ეთმობა. როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, იგი სულ ახლახან გამარჯვებული დაბრუნდა მადრიდიდან, სადაც ვეტერანი სამბისტები მსოფლიო ჩემპიონობისათვის საბრძოლველად შეიკრიბნენ...

მსოფლიო ჩემპიონი ოთარ ყურაშვილი „ლელოს" სტუმარია.

● *რამდენ ხანს გასტანა ხალიჩასთან თქვენმა განშორებამ?*

– ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ განშორება რვა წელიწადზე მეტ ხანს ითვლის. ერთი შეხედვით, იმიტომ ვამბობ, რომ აბა, განშორება ეთქმის, როცა ქრუანტელი დაგივლის ზურნის ხმის გაგონებაზე და ისევ საჭიდაოდ მოგიხმობს? ასე იყო ორიოდე წლის წინ საქართველოს გუნდურ პირველობაზე, თბილისის ცირკში, ფინალში რომ ახმეტისა და კასპის გუნდები გავიდნენ. სწორედ ჩემმა და სამბოში მსოფლიო ჩემპიონ ახმეტელ ნოდარ მალვენიშვილის შეხვედრამ გადაწყვიტა პირველობის ბედი კასპელთა სასარგებლოდ... ისე რომ, ჭიდაობასთან კავშირი არ გამიწყვეტია.

● *ვიცით, რომ განათლებით ეკონომისტი ხართ, როგორც მოხვდით პოლიციაში?*

– ერთხანს მშობლიურ ხოვლეში ვმსახურობდი სპეციალობით, მაგრამ არეულობამ, რომელიც ქართლში დატრიალდა, ჩემამდეც მოაღწია. ოთხმოცდაცამეტის სუსხიანი დეკემბრის შუაღამეს ბანდიტები გაძარცვის მიზნით, სახლში მომივარდნენ. გარეთ გამიხმეს: გულმა რეჩხი მიყო, სატაბელო პისტოლეტი თან გავიყოლე. ეზოს კარის გაღებისთანავე ორმა მკერდზე ავტომატი მომაბჯინა, არ დავბნეულვარ, ორივე ხელი ავუკარი იარაღზე და განიარაღება შევძელი. გაიქცნენ. შინისკენ მიბრუნებულს მეავტომატეთა ჯგუფმა გადამიღობა გზა. ერთ-ერთი სასიკვდილოდ დავჭერი, დანარჩენები დაფრთხნენ. ვსდიე ბოლომდე. რამდენიმე ჭრილობა და დავიჭირე კიდეც. ეგრე არ უნდა-მეთქი და მათ წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩავდექი. ბანდიტების თარეში შუაქართლში უფრო გაძლიერდა. დავდევდი მათ. გახსნილი მაქვს 13 ქურდობა. არ დამავიწყდება რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე ბანდიტებთან შეტაკება, რომელიც 2-3 მეტრიან თოვლში მიმდინარეობდა და საათსა და ორმოც წუთს გასტანა. ექვსი დავიჭირე. მაშინ გავცივდი და თირკმელი დამიავადდა, ოპერაცია შარშან გამიკეთა პროფესორმა გიორგი ბოჭორიშვილმა. წელს კი ისევ დავიწყე ვარჯიში მსოფლიო პირველობისათვის.

● *მადრიდის ორთაბრძოლებზე რას იტყვით?*

– პირველი შეხვედრა შარშანდელ ჩემპიონთან ბულგარელ ნეტოვთან უნდა მქონოდა, მაგრამ...

...აქ ო. ყურაშვილს სიტყვა გუნდის მწვრთნელმა ოლეგ იაძემ ჩამოართვა და გვითხრა, რომ

– რა თქმა უნდა, ბულგარელი თავისი წოდების შესანარჩუნებლად ჩავიდა პირველობაზე, მაგრამ აწონვაზე ოთარის გოლიათურ აღნაგობას რომ შეავლო თვალი, დაფრთხა, ეს ვინ ჩამოგიყვანიათო, კაცი კი არა, რკინაა ცარიელი. ოთარის ტიტულები რომ ჩამოვუთვალე, ხელები გაასავსავა და თქვა, არა, ბატონო, მაგასთან საქმეს ვერ დავიჭერო და ლეიბზე აღარ გამოსულა.

რაც შეეხება ფინალს, რომელშიც წმინდა „ქართულობის" მიუხედავად (მასში ო. ყურაშვილი და ზურაბ ნიკურაძე გამოდიოდნენ), კომპრომისის ნატამალიც კი არ ყოფილა. 3 წუთს ჭიდაობა ზურაბს მიჰყავდა ქულით. ბოლო წუთზე ოთარმა თავისი საყვარელი ორქულიანი გდებით შეპოჭა მეტოქე. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა.

● *გეგმები როგორილაა?*

– ხომ გაგიგონიათ მადა ჭამაში მოდისო – თქვა ო. ყურაშვილმა – ჯერ ძალა მერჩის. წინ კი ვეტერანთა საინტერესო შეჯიბრებებია. ჯერ ევროპის პირველობაა ინგლისში, შემდეგ ამერიკა მსოფლიო პირველობას უმასპინძლებს. ორივე ჩემპიონატში მინდა ვცადო ძალა. მადლიერი ვარ სამმართველოს უფროსის ნოდარ დალაქიშვილისა და განყოფილების უფროსის დიმიტრი დათიაშვილისა, რომელთაგან დიდი ხელშეწყობა მაქვს ვარჯიშისა და შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

ესაუბრა **უშანგ ჭიჭინაძე**

---

# გაიოზ ჯეჯელავა... პრეზიდენტი

## შეიქმნა „ქართული ფეხბურთის" ფონდი

სპორტის დამსახურებული ოსტატი. ჩემპიონატების ორგზის მეორე და ორგზის მესამე პრიზიორი. 1938 წლის 55 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის სიით №1 მარჯვენა გარემარბი. საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი. ავიაციის პოლკოვნიკი...

და, აი გაიოზ ჯეჯელავას ამ ტიტულებს ახლა კიდევ ერთი მიემატა – პრეზიდენტი!

დიახ, იგი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „ქართული ფეხბურთის" პრეზიდენტია. ამას წინათ შევხვდით ბატონ გაიოზს მის აგარაკზე მცხეთაში და ვთხოვეთ ეამბნა ახალი ფონდის შესახებ.

გაიოზ ჯეჯელავა

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ფონდის მიზანია ქართული ფეხბურთის კეთილდღეობა, მისი პოპულარიზაცია და აღორძინება, ბავშვთა ფეხბურთის განვითარება, სპორტული ინვენტარისა და ფორმის შეძენა, ვეტერან ფეხბურთელთა დახმარება. ტურნირებისა და საღამოების ჩატარება. რომ იტყვიან, ეს-ესაა ვიკრებთ ძალებს. წევრად უკვე 600-მდე გულშემატკივარი გვყავს, რომლებიც თვეში ერთი ლარის ოდენობის საწევროს იხდიან. მაგრამ არიან ფეხბურთის მოყვარულები და ცალკეული ორგანიზაციები, რომლებსაც ფონდში გაცილებით მეტი თანხა შეაქვთ. ასეთებია სააქციო საზოგადოება „ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკა" (დირექტორი დავით ლუკაშვილი), სამრეწველო ტექნოლოგიური ფირმა „ჯორჯტექი" (პრეზიდენტი ლევან ზერეკიძე), პურის მეოთხე ქარხანა (დირექტორი მალხაზ დოლიძე), სააქციო კომერციული ბანკი „ელიტა-ბანკი" (მმართველი გელა სისაური), შეზღუდული პასუხიმსგებლობის საზოგადოება „ორბელი" (პრეზიდენტი თემურ ჩხაიძე), რომელმაც ჩვენი ოფისისათვის სამუშაო ადგილი დაგვითმო უსასყიდლოდ და ფინანსურ დახმარებასაც გვიწევს. ცალკეულ გულშემატკივართაგან მადლობას იმსახურებენ: ინჟინერი სერგო კობერიძე, ეკონომისტი იზოლდა დავითური, სოხუმელი ლტოლვილი, ინვალიდი კობა ჭელიძე. მაღაზია „ნანას" დირექტორი ნანა წაქაძე, სპორტის ინსტრუქტორი მამუკა ტულუში და სხვები. შემოსული თანხით უკვე დავეხმარეთ ლანჩხუთის „გურიის" საფეხბურთო კლუბს, რომელიც მძიმე მატერიალურ მდგომარეობას განიცდიდა. პერსპექტივაში განზრახული გვაქვს შეხვედრა ფონდის აქტივისტებთან, მათი წახალისება ფულადი ჯილდოებით და მივლინებით დიდ საერთაშორისო მატჩებზე, ცალკეული მატჩების გარჩევა, პერიოდული გაზეთის გამოცემა, ბუკლეტების მომზადება ცნობილ ქართველ ფეხბურთელებზე. შეხვედრების გამართვა ვეტერან ფეხბურთელებთან და სხვა. ვფიქრობ, ჩვენს ფონდში უნდა გაწევრიანდეს ყველა ჭეშმარიტი გულშემატკივარი. ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის, 123 (ძველი ფილარმონიის შენობა). ტელეფონი: 96-86-77

**ოთარ ნოზაძე**

---

# ნინო ხურციძე: „სათამაშო პრაქტიკა მაკლია"

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ახალგაზრდა დიდოსტატ ნინო ხურციძეს, რომელიც 19 დეკემბრიდან გრონინგენის (ჰოლანდია) დიდ საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. მას გარდა, შეჯიბრებაში გამოვლენ: კიდევ ერთი ახალგაზრდა დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი, ოსტატები დავით ლობჟანიძე და გიორგი მაჭარაშვილი.

● **ნინო, შენ ამ ბოლო ხანებში იშვიათად მონაწილეობ შეჯიბრებებში.**

— დიახ, სათამაშო პრაქტიკა აშკარად მაკლია. პარტიების ის რიცხვი, რომელსაც წლის განმავლობაში ვთამაშობ, აშკარად მცირეა.

● **რას ფიქრობ, როგორ უნდა გამოსწორდეს ეს ნაკლი?**

— საერთაშორისო ტურნირებზე გასამგზავრებლად დიდი თანხებია საჭირო. ამას წინათ ვმონაწილეობდი თბილისის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საჭადრაკო ცენტრმა და ჭადრაკის დიდმა ენთუზიასტმა სერგო ცომაიამ მოაწყვეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოჭადრაკეების მონაწილეობით. აქ ზოგი რეიტინგის ამაღლებას ცდილობდა, მე კი საჭადრაკო მზადყოფნას ვამოწმებდი გრონინგენში გამგზავრების წინ.

● **კიდევ ხომ არ აპირებს ბატონი სერგო ასეთი შეჯიბრებების მოწყობას?**

— თუ არ ვცდები, აპირებს და ძალიან კარგსაც გააკეთებს.

● **ვინ ითამაშებს გრონინგენში?**

— წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს, მაგრამ, როგორც წესი, ჰოლანდიის ამ პოპულარულ ტურნირში ძლიერი შემადგენლობა იყრის ხოლმე თავს. ვაჟებიც და ქალებიც შვეიცარიული სისტემით (9-9 ტური) იბრძოლებენ. ამასთან, ვინც ქალებს შორის საუკეთესო შედეგს უჩვენებს, გვარიან ჯილდოს მიიღებს.

● **შემდეგ თბილისში დაბრუნდებით?**

— არა, ვაპირებ გერმანიის საერთაშორისო ტურნირში ვითამაშო. ახლა ჩემთვის მთავარია მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მონაწილეობა. ამ საკითხში რაიმე კონკრეტულის თქმა შეუძლებელია, რადგან ფიდეს ჯერაც არ გადაუწყვეტია, სად უნდა გაიმართოს მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირები. ასე რომ, ცოტა უნდა მოვიცადოთ...

---

# ლას-პალმასი, არნახული ასპარეზობა

რამდენიმე წლის წინათ სულ ორ მოჭადრაკეს გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს ჰქონდა 2700-ზე მეტი კოეფიციენტი. ერთხანს კასპაროვმა 2800-საც კი გადააჭარბა, მაგრამ ეს სიმაღლე დიდხანს ვერ შეინარჩუნა. ამასობაში ამ ორ სუპერდიდოსტატს რამდენიმე ახალგაზრდა მოჭადრაკე ჩაუდგა კვალში.

და აი, ლასპალმასელმა ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ისეთი ტურნირის მოწყობა, რომელშიც ყველა ის დიდოსტატი ითამაშებდა, ვინც კოეფიციენტ 2700-ს გადააჭარბა. ასეთი ღღესათვის სულ შვიდია, ერთის მიწვევა ვერ მოხერხდა, აი ყველა დანარჩენი კი ჩავიდა კანარის კუნძულების ამ ეგზოტიკურ ქალაქში. ვიმეორებთ, შეჯიბრება, ცოტა არ იყოს, ხანმოკლეა, მაგრამ მეტად საინტერესო. ისე კი, არავინ დაიჩაგრება, რადგან ტურნირი ორწრიანია, ე.ი. ყველა მონაწილე (თეთრებით და შავებით) პარტიების თანაბარ რაოდენობას ითამაშებს.

აი წილისყრის შედეგი: 1. ანატოლი კარპოვი (რუსეთი), 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), 3. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), 4. გარი კასპაროვი (რუსეთი), 5. ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი), 6. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა).

რა თქმა უნდა, თითოეული მონაწილე ესოდენ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის საგანგებოდ მოემზადა. ყველა მათგანს ერთმანეთთან ადრე ბევრჯერ უთამაშია, რადგან მარტო პარტიების რიცხვი (163!) კარპოვსა და კასპაროვს შორის, მაგრამ დიდოსტატებმა გადახედეს საკუთარ სადებიუტო რეპერტუარს, მოამზადეს სიურპრიზები, ზოგი ეს სიახლე გაჭრის კიდეც, ზოგის გამოყენება კი შეიძლება მონაწილეებმა ვერ შეძლონ და შემდგისათვის გადადონ.

უკვე პირველ ტურში ძალზე თავისებურად წარიმართა კარპოვ-ივანჩუკის შეხვედრა. კატალონურ დაცვაში ივანჩუკის სიახლეს – ნაადრევ მანევრს ლაზიერით მსოფლიო ჩემპიონმა ასევე ორიგინალური სვლით უპასუხა, თუმცა საბოლოო ანგარიშში ვერაფერი მიიღო. ხანგრძლივი მანევრული ბრძოლა ბოლოს მაინც ყაიმით დასრულდა. გასაგებია, მეტოქეები ფრთხილობდნენ, რადგან ერთმა წაგებამაც კი ტურნირის სიმოკლის გამო, შეიძლება მძიმე შედეგები მოიტანოს, მდგომარეობის გამოსწორების საშუალება აღარ იქნეს: ამით უნდა აიხსნას ისეთი შემტევი, ენერგიული სტილის მოჭადრაკეების, როგორნიც ანანდი და კრამნიკი არიან, სწრაფი ყაიმი. აი, კასპაროვმა კი მეტად მძაფრ ბრძოლაში შავებით სძლია ტოპალოვს, რომელიც ადრე მასთან საკმაოდ წარმატებით თამაშობდა. ეს უკვე ბევრს ნიშნავდა.

რა თქმა უნდა, სიფრთხილე საჭიროა, მაგრამ ესოდენ აგრესიული მოჭადრაკეები მაინც თავს ვერ იკავებენ. თუ მეორე ტურში სამივე პარტია ყაიმით დასრულდა, მესამეში ანანდმა შეძლო ივანჩუკის დამარცხება, მეოთხეში კი უკვე ივანჩუკმა გაიტოლა ხელი და სძლია ტოპალოვს. და რა გამოვიდა? ის, რომ ოთხი ტურის შემდეგ მხოლოდ ტოპალოვი აღმოჩნდა მძიმედ დაზარალებული – მას სულ ერთი ქულა ჰქონდა და უკვე საკმაოდ ცუდი პერსპექტივები. 2-2 ქულა სამმა მოჭადრაკემ მოაგროვა: კარპოვმა (4 ყაიმი!), კრამნიკმა (ასევე 4 ყაიმი!), წინ კი კასპაროვი და ანანდი იყვნენ 2,5 – 2,5 ქულით. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დასაწყისი იყო.

ერთი სიტყვით, ტურნირმა დაწყება ვერ მოასწრო და უკვე გადამწყვეტი დღეები დადგა.

შეხვედრა წარსულთან

# დინამოელთა „მთავარი მსახიობი"...

ბასკთა ლეგენდარული გუნდის მატჩებისათვის თბილისის „დინამოს" სტადიონზე ნორჩი „აუტჩიკები" შეარჩიეს — თორმეტი თუ თხუთმეტი ბიჭი. მათ შორის 12 წლის მიშა ჯოჯუაც იყო — მომცრო ტანის ჩასკვნილი ონავარი. ამბობენ, რომ გვერდით ხაზზე გასულ ბურთებს იგი სულ ბასკთა კაპიტანს, მასსავით დაბალ, დამრგვალებულ გილერმო გოროსტიცას აწვდიდა, თვალს არ აშორებდა სტუმართა მარჯვენა გარემარბს. მიშა ის-ის იყო მიიღეს ბავშვთა გუნდ „სიხარულში", რომელსაც სახელგანთქმულ „მოლოტთან" ერთად ცნობილი მწვრთნელი ასირ გალპერინი ავარჯიშებდა. მანამდე ბიჭი თითქმის ყოველდღე თამაშობდა „ველურ" ფეხბურთს, ხან ვაკეში იპოდრომზე და ხან დიდუბეში დოლებისაგან თავისუფალ დროს. სწორედ იქ ნახა ა. გალპერინმა ნიჭიერი ყმაწვილი და რამდენიმე თანატოლთან ერთად ლენინის სახელობის ძველ სტადიონზე დაიბარა. სულ მალე მ. ჯოჯუა და მისი გუნდი უფროსებმა ბასკების თამაშზე გაიყვანეს „აუტჩიკებად". ასე ნახა პირველად მ. ჯოჯუამ თბილისის „დინამოს" დიდებული სტადიონი, რომლის მშენებლობა იმხანად დასასრულს უახლოვდებოდა. ბიჭებს სპეციალური ფორმა დაურიგეს — ლამაზი მაისურები, ტრუსები და გეტრები.

— მეამაყება, რომ მეც, ასე თუ ისე, სახელგანთქმულ ბასკთა მატჩების მონაწილე ვარ! — ელიმება სპორტის ოსტატ მიხეილ ჯოჯუას — სწორედ მაშინ ვნახე პირველად ჩვენი ბიჭების საერთო კერპები ბორის პაიჭაძე, შოთა შავგულიძე, მისი დიდებული პარტნიორები გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ ბერძენიშვილი, გრიგოლ გაგუა, ალექსანდრ დოროხოვი, აღტაცებული ვიყავი სტუმართა თამაშით — შეუდარებელი ისიდრო ლანგარათი, გილერმო ტოროსტიცათი, ლეონარდო ცილაურენით, ემილიო ალონსოთი, გრეგორიო ბლასკოთი. იმ დღეებში საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ფეხბურთელი გამოვიდოდი!

ნიჭიერი მოთამაშე მართლაც სწრაფად დარბოდა, კარგად ურტყამდა კარში და ტექნიკაც საუკეთესო ჰქონდა. ეს იყო მხოლოდ, რომ ტანით და ასაკით პატარა გახლდათ და ა. გალპერინის პირველ გუნდში, ცხადია, ჯერ ვერ მოხვდებოდა. ბოლოსდაბოლოს მწვრთნელებს მაინც არ დარჩათ იგი შეუმჩნეველი და 16 წლისა ქუთაისის „დინამოში" ჩარიცხეს, ერთი სეზონი ითამაშა აქ მიშამ, მერე კი ტოდო-ში გადაიყვანეს, სადაც წელიწადი დაჰყო.

ომის შემდეგ განახლდა ჩვენში საფეხბურთო ტურნირები. მოსკოვში, „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობა გაიმართა. საქართველოს გუნდის კაპიტანი მიხეილ ჯოჯუა იყო. მასთან ერთად გამოდიოდნენ ავთანდილ პაიჭაძე, გარი გარიშვილი, ზურაბ ქვარიანი და სხვა ნიჭიერი ფეხბურთელები. ფინალში ჩვენი გუნდი მოსკოველებს შეხვდა, მასპინძელთა გუნდის მწვრთნელი გავრიილ კაჩალინი გახლდათ. მასში თამაშობდნენ აგრეთვე სერგეი კორშუნოვი, ვიქტორ ფიოდოროვი, ბორის ლაგუტინი, ვლადიმერ რუდნევი, ალექსანდრ ლარიონოვი, ვლადიმერ გრაჩოვი და სხვანი. ოთხი დღე ითამაშეს, მაგრამ ბოლოს მაინც დავმარცხდით 0-1. მოსკოველებმა ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი იქვე მიიწვიეს თავის გუნდში — მ. ჯოჯუა, გ. გარიშვილი, ა. პაიჭაძე, ზ. ქვარიანი და მეკარე ვლადისლავ დავთიანი. გუნდი 1945 წლის საკავშირო პირველობაზე გამოდიოდა „ბ" კლასში. გ. კაჩალინს მოსწონდა ქართველ ფეხბურთელთა თამაში და არ ჩქარობდა მათ გამოშვებას თბილისში, მაგრამ მოხდა ისე, რომ მ. ჯოჯუა მწვრთნელმა ამრამ დანგულოვმა მოსკოვის სულ სხვა გუნდში — „კრილია სოვეტოვში" გადაიყვანა. იგი იმხანად „ა" კლასში თამაშობდა და საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული — ნიკიტა სიმონიანი, „პეკა" დემენტიევი, ალექსანდრ სევიდოვი, აგუსტინ გომესი, რუპერტო საგასტი, პიოტრ არხაროვი, სერგეი კორშუნოვი. ეს იყო 1946 წელს. მიშა ჯოჯუა ჯერ მარჯვენა ინსაიდად გამოდიოდა, მერე კი გარემარბად მიუჩინეს ადგილი. აი ასე მრისხანედ გამოიყურებოდა მოსკოველთა თავდასხმის ხუთეული: ჯოჯუა, დემენტიევი, სიმონიანი, სევიდოვი, კორშუნოვი. გუნდი ყველაზე ახალგაზრდული იყო უძლიერესთა ლიგაში. მართალია, იგი სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში უფრო ხშირად გვხდებოდა (მე-7 ადგილი 1946 წელს და მე-11 ადგილი 1947 წელს), მაგრამ იმთავითვე „ლიდერთა რისხვის" სახელი დაიმსახურა და არაერთი ნიჭიერი ოსტატი მისცა დიდ ფეხბურთს. მოსკოვის „კრილია სოვეტოვმა" 1946 წლის სეზონში სძლია ცდკა-ს (2-1), კიევის „დინამოს" (2-0), მოსკოვის „ტორპედოს" (2-0), ხოლო მომდევნო წელს ერთნაირი ანგარიშით 1-0 დაამარცხა მოსკოვის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი" და კვლავ „ტორპედო".

1948 წელს მ. ჯოჯუა დაუბრუნდა ტოდო-ს, სადაც ისევ მარჯვენა ინსაიდის ადგილი დაიკავა. თბილისელ არმიელთა გუნდი ტაშკენტში ჩავიდა „ბ" კლასის საკავშირო გათამაშების მატჩის ჩასატარებლად. სწორედ უზბეკეთის დედაქალაქის აეროპორტში „სტაცეს ხელი" მ. ჯოჯუას და... რიგაში გააფრინეს. აქ თბილისის დინამოელებს მორიგი მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ „დაუგავასთან". ჩვენმა მწვრთნელმა ალექსეი სოკოლოვმა ამ მატჩში განახლებული თავდასხმის ხაზი გამოიყვანა: ჯოჯუა, ანთაძე, პაიჭაძე, ღოღობერიძე, თოდრია. 3-1 მოვიგეთ. პირველი ბურთი მ. ჯოჯუამ გაიტანა. ახლა ახალგაზრდა ფეხბურთელის დიდი ხნის ოცნება-საყვარელი გუნდის თბილისის „დინამოს" წევრი გახდა, თანაც თვით გაიოზ ჯეჯელავა შეცვალა, რომელსაც მუდამ თავის იდეალად მიიჩნევდა. ლატვიის დედაქალაქიდან დინამოელები თბილისში დაბრუნდნენ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს" შეხვდნენ. 6-1 — ასეთი ანგარიშით სძლიეს ჩვენებმა ვოლგელების გუნდს, დაცვითი ფეხბურთის აპოლოგეტად რომ ითვლებოდა მუდამ. ამ მატჩში მიშამ კვლავ ისახელა თავი — ორი გოლი გაიტანა და რამდენიმე საგოლე მომენტი შეუქმნა პარტნიორებს. აშკარა გახდა, რომ ჩვენს „დინამოში" მოვიდა კიდევ ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი — სწრაფი, მოხერხებული ფინტების, ზუსტი პასისა და მოულოდნელი გარღვევების ოსტატი. ამასთანავე იგი მშვენივრად ხედავდა მინდორს. დიდად შეუწყო ხელი მ. ჯოჯუას დაოსტატებას ჩვენს გუნდში მოსულმა მწვრთნელმა მიხაილ იაკუშინმა.

— მიხეისგან მე მართლაც ბევრი რამ ვისწავლე. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ფეხბურთში სხვა ასეთი სპეციალისტი არ ყოფილა — გვეუბნება ჩვენი მოუბარი, — მისი გაკვეთილები მე დიდად გამომადგა ჩვენს სტადიონებზეც და საზღვარგარეთ გამართულ მატჩებშიც — პოლონეთში, რუმინეთში, უნგრეთში...

არანაკლებ აფასებდა მ. ჯოჯუას საფეხბურთო ტალანტს მეორე დიდებული სპეციალისტი ბორის არკადიევიც. მოგეხსენებათ, 1952 წლის ჰელსინკის XV ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანა ავთანდილ ღოღობერიძესთან, ნიაზ ძიაპშიპასთან, გიორგი ანთაძესთან, ვლადიმერ მარღანიასთან ერთად. (მერე ჩვენი ავთანდილ ჭკუასელიც დაუმატეს, რაც მ. იაკუშინის დამსახურება იყო). თავდასხმის ძირითადი ხუთეული ასეთნაირად შეადგინეს: ჯოჯუა, ნიკოლაევი, ბობროვი, სალნიკოვი, დიომინი, მაგრამ ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ მიშა დაშავდა მოსკოვში გამართულ საკონტროლო მატჩში. ცხადია, ოლიმპიადაზე ვერ გაემგზავრა, აი მომდევნო სეზონში კი მთელი ძალით ითამაშა, ხოლო 1954 წლიდან უკვე აღარ გამოსულა გუნდის შემადგენლობაში.

მიხეილ ჯოჯუამ თბილისის „დინამოში" ხუთი სეზონი ითამაშა და ჩემპიონატების 78 მატჩში 18 ბურთი გაიტანა. მშობლიურ გუნდში იგი ორი ვერცხლისა (1951 და 1953 წ.წ.) და ორი ბრინჯაოს (1950 და 1952 წ.წ.) მედლის მფლობელი გახდა. მ. ჯოჯუა 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში შეიყვანეს რამდენჯერმე მესამე ნომრად ვასილი ტროფიმოვისა და ალექსეი გრინინის შემდეგ. ბევრი ღირსეული შეხვედრა გვახსოვს ამ სახიფათო ფორვარდის მონაწილეობით.

— ჩემს საუკეთესო მატჩად მაინც 1951 წლის შეხვედრას ვთვლი თბილისში პირველ წრეში ქვეყნის ჩემპიონ ცდკა-სთან. იმ დღეს 2-0 მოვიგეთ. ვლადიმერ ნიკანოროვის კარში ორივე ბურთი ჩემი გადაცემებით გავიდა — კონსტანტინე გაგნიძისა და ანდრო ზაზროევის ზუსტი დარტყმების შემდეგ — აღნიშნავს მ. ჯოჯუა.

ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ, რომ მ. ჯოჯუა ჩვენი გუნდის „მთავარი მსახიობი" იყო. წარმოიდგინეთ, ერთხელ მან მშობლიურ გუნდში „ოტელოც" კი დადგა შეკრების დროს. დეზდემონას ახმახი ნიკოლოზ თოდრია თამაშობდა, ხოლო თავად, რა თქმა უნდა, ოტელო იყო. მოგეხსენებათ, მიშა ძალიან აზარტული იყო და ისე შევიდა როლში, რომ საკმაოდ მაგრად მოუჭირა ყელში ხელი „ნაზ ასულს" და კინაღამ მართლაც დაახრჩო. თოდრიას გრძელი კაბა ეცვა და სასოწარკვეთილმა ტლინკები რომ აყარა ჰაერში, ქვემოდან „დინამოს" ცისფერი ტრუსები გამოუჩნდა. მერე „დეზდემონა" ისე გაწარდა, რომ აიტაცა ჩია ტანის მიშა თავსზემოთ და ცემა-ტყეპით გაიყვანა კულისებში. დინამოელები და მაყურებლები ჩაზეირდნენ სიცილისაგან, ცრემლს იწმენდნენ პირდაპირ.

მიშა მართლაც მშვენივრად მღეროდა, უსტვენდა, ცეკვავდა, უკრავდა.

როდესაც ფეხბურთს თავი დაანება, სიამოვნებით მიღეს ფილარმონიაში. მისი დებიუტი ოფიციალურ ესტრადაზე 1954 წლის შემოდგომაზე შედგა. ეს იყო მინიატურების თეატრის საესტრადო მიმოხილვა „მოვდივართ, მოგვიხარია!", რომელიც დადგა ცნობილმა რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა პეტრე გრუზინსკის და ლევან ჭუბაბრიას ტექსტზე და შოთა მილორავას მუსიკაზე. მიშა ჯოჯუას ბედნიერება ჰქონდა გამოსულიყო ესტრადის ისეთ აღიარებულ ოსტატებთან, როგორნიც იყვნენ ნიკოლოზ მოსაშვილი, ვალერიან ძაგნიძე და შალვა ჩხიკვაძე, ქანეტა ასლამაზიშვილი (არჩვაძე), ალექსანდრა ჯაფარიძე, თამარ ლივარდი, ალექსანდრა ნიკოლიშვილი, სანდრო რამიშვილი, გიორგი ჭუმბაძე, რუსუდან ბერძენიშვილი, ქეთევან წოწორია, მერაბ გეგეჭკორი, ვუკოლ კინწურაშვილი. პირველ მიმოხილვას, უდიდესი წარმატება რომ ხვდა, მოჰყვა ახალი დადგმები — „ასეც ხდება", „ჭინჭარი", „ჩვენი ეზო", „ჩვენი თანამგზავრი" და სხვა. მ. ჯოჯუა ფილარმონიის სოლისტად 1960 წლამდე (ჩათვლით) მუშაობდა, მერე კი კვლავ დაუბრუნდა ფეხბურთს, ამჯერად მწვრთნელად. იგი 1961 წელს სათავეში ჩაუდგა ზუგდიდის „დინამოს", რომელიც მომდევნო წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. სამი სეზონი დაჰყო ამ გუნდთან, სანამ ხელოვნების სიყვარულმა კვლავ არ გადასძლია. ჯერ იყო, მიშა ჯოჯუა მინიატურების თეატრის დირექტორი გახდა, მერე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს, მერე მუსკომედიის თეატრში დაიწყო მუშაობა დირექტორად, კინომსახიობის თეატრის ხელმძღვანელად. ბოლოს კი, 1974 წლიდან დღემდე მეგობრობის თეატრს უდგას სათავეში. და ცხადია, საქართველოს ვეტერან სპორტსმენთა კლუბის პრეზიდენტია. საყვარელ ფეხბურთს არ ივიწყებს. აკაკი ხორავას მსახიობის სახლის სცენა სახელოვან ქართველ ფეხბურთელთა იუბილეებისა და შეხვედრების სასურველ ადგილად იქცა ამ ბოლო დროს. აქ დიდი წარმატებით ჩატარდა თბილისის „დინამოს" ცნობილი ფეხბურთელების, სპორტის დამსახურებული ოსტატების გაიოზ ჯეჯელავას, გრიგოლ გაგუას, ვლადიმერ მარღანიას, ნიაზი ძიაპშიპას, სლავა მეტრეველის, ზაურ კალოევისა და სხვათა საღამოები.

კიდევ ბევრი საგულისხმო გეგმები აქვს მიხეილ ჯოჯუას, ამასთან არ აცდენს მშობლიური კლუბის ვეტერანთა გუნდის ვარჯიშებსაც. 71 წლის უბერებელი ვეტერანი მუდამ მზად არის ძველებური შემართებით დაიცვას დინამოელთა ღირსება, ისე, როგორც ეს დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ იყო.

**ოთარ ნოზაძე.**

**სურათებზე:** თბილისის „დინამოს" სტადიონი. მიხეილ ჯოჯუა უტევს მოსკოველ თანაკლუბელთა კარს; მიხეილ ჯოჯუა (შუაში) ვალერიან ძაგნიძესთან (მარცხნივ) და შალვა ჩხიკვაძესთან ერთად ესტრადაზე.

ფოტოები ავტორის არქივიდან.

---

საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

# შილტონი ათასს უახლოვდება

ერთი კვირის წინათ, რუბრიკით „აუქციონი" „ლელოს" მკითხველებს მივაწოდეთ ინფორმაცია ლეგენდარულ ინგლისელ მეკარე პიტერ შილტონზე: „47 წლის მეკარე პრემიერლიგის „ვესტ ჰემიდან" მეოთხე დივიზიონში მოასპარეზე „ლეიტონ ორიენტში" გადავიდა. შილტონისთვის, რომელმაც 125-ჯერ ითამაშა ინგლისის ეროვნულ ნაკრებში, „ორიენტი" გახდა მეთორმეტე კლუბი, რომელიც მან ოცდაათწლიანი (!) სპორტული კარიერის დროს გამოიცვალა. იმისათვის, რომ შილტონი შეეძინა, „ორიენტმა" „ვესტ ჰემს" დაუთმო თავისი ძირითადი მეკარე, 37 წლის ლეს სილი".

პიტერ შილტონი მთელი ეპოქაა ინგლისურ ფეხბურთში და ნამდვილად არ გვეგონა, რომ დღემდე მოქმედი ფეხბურთელი იყო. მოვიძიეთ მასალა მის შესახებ და აღმოჩნდა, რომ შილტონს პრემიერლიგაში სულ ოთხი (!) თამაშილა დააკლდა, ათასი რომ შეესრულებინა. აფსუს, პიტერ, როგორი ულმობელია ინგლისური ცხოვრების კანონები: „ვესტ ჰემმა" არაფრად ჩააგდო შენი სწრაფვა საიუბილეო, მეათასე გეთამაშა და მეოთხე დივიზიონის პროვინციულ კლუბში გაგყიდა. არადა, შეგუებული იყავი, რომ საფეხბურთო კარიერა დაასრულე, სალერღელი აგიშალეს და...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო „ვესტ ჰემის" მეორე მეკარემ, ავსტრალიელმა სტივ მოტონმა. თითქოსდა დიდი არაფერი მოვლენაა, მაგრამ იგი სენსაციად გადაიქცა — ძირითადი მეკარის, ჩეხი მიკლოშკოს დუბლიორად ინგლისის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში „ლესტერის" წინააღმდეგ იდგა ადამიანი — ლეგენდა თვით პიტერ შილტონი! ასე განმეორდა სხვა მატჩებშიც. სახელოვანმა მეკარემ თანდათან ჩვეული ფორმა აღიდგინა და... გაყიდეს.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ინგლისის ჩემპიონატში პიტერ შილტონის დებიუტი 30 წლის წინათ შედგა. გახსოვთ ეს მოვლენა? 1966 წლის აპრილში „ლესტერის" ძირითადმა მეკარემ, ლეგენდარულმა გორდონ ბენქსმა ტრავმა მიიღო და მწვრთნელმა მეტ ჰოლისმა პირველად ანდო პიტერს ადგილი ძირითად შემადგენლობაში. მაშინ იგი 16 წლისა იყო.

ფეხბურთის ისტორია გვიცნობს — ის ვეტერანი ფეხბურთელები, რომლებმაც გვიან დაიწყეს თამაში, ასევე გვიან ამთავრებენ თავის კარიერას, ვინაიდან „ვერ ძღებიან" თამაშით. ამის უკანასკნელი მაგალითია ჯონ ოლდრიჯი, რომელმაც ჯერ ათი წელი ინგლისის დაბალ ლიგებში გაატარა და მხოლოდ 27 წლის ასაკში დაიწყო თამაში პირველ დივიზიონში. ოლდრიჯი 28-ის იყო, როდესაც პირველად ჩაიცვა ირლანდიის ნაკრების მაისური. ჯონი ახლა ორმოცისაა და აგრძელებს გამოსვლას ნაკრებში, სადაც 71 მატჩი ჩაატარა.

ახლა საპირისპირო მაგალითსაც მოგიყვანთ. ლეგენდარული სტენლი მეტიუზი 19-ის იყო ინგლისის ნაკრებში რომ პირველად ითამაშა, ხოლო უკანასკნელად მან ამ გუნდის ღირსება 42 წლისამ დაიცვა. პიტერ შილტონმაც ადრე მიიპყრო ყურადღება. ინგლისის ფეხბურთის სპეციალისტები ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს უწინასწარმეტყველებდნენ მას ბრწყინვალე კარიერას. თვით გამოცდილი გორდონ ბენქსი — 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი — მიხვდა როგორი ნიჭიერი დუბლიორი ჰყავდა მის კლუბში და რათა კონკურენციის შეშინდა, „სტოკ სიტიში" გადავიდა. ასე, 17 წლის ასაკში, 1966-67 წლების საფეხბურთო სეზონიდან, შილტონი „ლესტერის" ძირითადი მეკარე გახდა.

თუმცა, მისი გუნდი ინგლისის ჩემპიონატში სუსტად ასპარეზობდა და სამ წელიწადში პირველ დივიზიონს დატოვა. ამ გარემოებამ შილტონის რეპუტაციაზე მაინც ვერ იმოქმედა და ახალგაზრდა მეკარე ალფ რამსეიმ მიიწვია ნაკრების შეკრებაზე — ინგლისელები მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე გასამზადებლად ემზადებოდნენ. მართალია შილტონი ბოლო მომენტში მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდა (რამსეიმ ბენქსის დუბლიორებად გამოიძახა მეკარეები პიტერ ბონეტი და ალექს სტეპნი არჩია), მაგრამ იმავე წლის შემოდგომაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში „უემბლიზე" 21 წლის მეკარე გამოვიდა მინდორზე ბობი მურის, ჯეფ ჰერსტის, ალან ბოლის და სხვა ვარსკვლავების გვერდით. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ შილტონის დებიუტი იღბლიანი ვერ გამოდგა — მართალია მთელ მატჩში პრაქტიკულად საქმე არ ჰქონია, ფოგელის შორეული დარტყმა მაინც „ვლაზა". არც პირველ ოფიციალურ მატჩში შეეეკარით ნაკრების წინააღმდეგ გამოვიდა თამაშით: ამ შორი დისტანციიდან ოდგრმატის მიერ დარტყმული ბურთი გაუშვა, რამაც ინგლისელებს ევრო-

გაგრძ. 6 გვ.

აუქციონი

# ნუ გვიკვირს, ბიჭები რომ მიდიან...

როდესაც ჩვენი თანამემამულე ფეხბურთელების ამა თუ იმ საზღვარგარეთულ კლუბში გადასვლის შესახებ შევიტყობთ ხოლმე, გვიკვირს, რატომ მიდიან. უმთავრესი, რაც ბიჭებს ამ შემთხვევაში ამოძრავებთ, ცხადია, ეკონომიკური სტიმულირებაა. და ვერც გაამტყუნებთ. გერმანიის მაგალითი ავიღოთ. მართალია, გერმანიის ბუნდესლიგის მოთამაშეები იმდენ თანხას არ იღებენ, რამდენსაც, ვთქვათ, მათი კოლეგები იტალიასა და ესპანეთში, თუმცა საწუწუნო არაფერი აქვთ. გამოთვლილია, ბუნდესლიგის 400 ფეხბურთელი და მწვრთნელი წელიწადში 350 მილიონ მარკას იდებს ჯიბეში. აქედან მარტო დორტმუნდის „ბორუსიასა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელთა ანაზღაურება 104 მილიონია. ისეთი ვარსკვლავების წლიური ხელფასი, როგორებიც არიან იურგენ კლინსმანი, მათიას ზამერი, ანდრეას მიოლერი 5 მილიონ მარკას უახლოვდება. როგორც წესი, ეს თანხა ტელეტრანსლირების უფლების გაყიდვით ანაზღაურდება. არის სხვა შემოსავალიც, ვთქვათ, რეკლამიდან. ასე, იურგენ კლინსმანის 18-ნომრიანი მაისური „ბაიერნის“ მაღაზიაში უსწრაფესად იყიდება. თავად გახლდით შარშან მიუნხენში, მაგრამ სიძვირის გამო ეს 120-მარკიანი რელიკვია ვერ შევიძინეთ. როგორც ამ მაღაზიის ჩესვეურებმა გვითხრეს, მაისურის გაყიდვით კლუბმა 12-მილიონიანი მოგება ნახა!

ცხადია, ქართველი ფეხბურთელები კლინსმანივით „ბაიერნში“ ვერ მოხვდებიან, მაგრამ რეგიონალლიგის გუნდებშიც კი, სადაც მათი უმეტესობა ნავსაყუდარს პოულობს, წარმოუდგენელად დიდი ანაზღაურებაა.

## საქართველო

თბილისში მოკლევადიანი შვებულებით იმყოფებიან გერმანიის „ჰომბურგში“ მოთამაშე ქართველი ლეგიონერები – მეკარე **ნიკა ჩხეიძე** და თავდამსხმელი **კახი კაჭარავა**. შევიტყვეთ, რომ ორივე ფეხბურთელი კარგ სპორტულ ფორმაშია: ნიკა რეგიონალლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა, ხოლო კახი, რომელიც წელს ნაირიცხა გუნდში, „ჰომბურგის“ ბომბარდირია. სწორედ ქართველთა მეცადინეობით „ჰომბურგი“ ლიდერთა ჯგუფში იმყოფება. რამდენიმე გერმანულ საფეხბურთო კლუბს სურს ჩვენების გადაბირება (სულ ბოლო მაგალითი:

ნიკა ჩხეიძე

ჩხეიძის შეძენა უნდოდა ბუნდესლიგის „კიოლნს“, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზეზთა გამო ტრანსფერი არ შედგა).

ასევე მოკლევადიანი შვებულებით სამშობლოში ჩამოვიდნენ სანქტ-პეტერბურგის „ლოკომოტივში“ გივი ნოდიას წინამძღოლობით მოთამაშე ძმები **ვარლამ და გიორგი კილასონიები**, **ალექსანდრე ბურნაძე**. მართალია, ისინი გუნდში წამყვან ძალას წარმოადგენენ, მაგრამ კოლექტივში ფინანსური პრობლემები გაჩნდა და, როგორც ეტყობა, ჩვენს ლეგიონერებს სხვა გუნდის მოძებნა მოუწევს. ბიჭები ამბობენ, რომ საქართველოს რომელიმე კლუბში კარიერის გაგრძელება გამორიცხულია, გვინდა უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში მოვსინჯოთ ძალებიო.

ის-ის იყო ჩვენი ლეგიონერების შესახებ მასალა რედაქციაში უნდა ამოგვეტანა, ქუჩაში, შემთხვევით, რუსთავის „გორდას“ მთავარი დამრტყმელი ძალის **რობერტ ზირაქიშვილის** ახლობელი შეგვხვდა (მკითხველს „აუქციონის“ ერთ-ერთ მიმოხილვაში შევატყობინეთ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ეს წევრი პორტუგალიის კლუბ „ფარენსეში“ გაემგზავრა გასასინჯად) გახარებული – რობერტმა პორტუგალიურ კლუბთან კონტრაქტი გააფორმაო. მართალია, იგი ჯერ მხოლოდ ნახევარწლიანია, მაგრამ თუ თავს გამოიჩენს, სხვა, უფრო პრესტიჟულ კლუბში გადავაო.

და კიდევ რამდენიმე ახალი ცნობა საქართველოს სატრანსფერო ბაზრიდან. მინდა დავაწყნარო ქართველი გულშემატკივრები – „ძუკუ“ არსად არ მიდის. უფრო სწორად, ამ სეზონის ბოლომდე ფოთის „კოლხეთი-1913“-ში ითამაშებს. ადრე გატყობინებდით, რომ **გიორგი დარასელიას** პოლონეთის „ლეგია“ ეპატიჟებოდა, მაგრამ, როგორც „ლელოს“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე ჯერჯერობით „კოლხეთი-1913“-ში დარჩება და ევროტურნირებში გუნდის ღირსებას დაიცავს.

გუშინწინ, ასევე მოკლევადიანი შვებულებით საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის პირველ ლიგაში მოასპარეზე ელისტას „ურალანის“ ცენტრალური მცველი, ყოფილი ცხუმელი, 32 წლის **ემზარ მამფორიაც**. ყალმუხელებთან მას კონტრაქტი ერთ თვეში უმთავრდება და ამჟამად ბჭობს, გააგრძელოს თუ არა იგი. ეგებ საქართველოშიც გამოჩნდეს კლუბი, რომელიც დაინტერესდება მამფორიათი?

კახი გოგიჩაიშვილი

კახი გოგიჩაიშვილის გადმობირებას ვლადიკავკაზის „ალანია“ ლამობდა, მაგრამ ჩემპიონატის ბოლო მატჩში მიღებულმა ტრავმამ, ტრანსფერი შეაფერხა

## გერმანია

ამ ქვეყნის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ წლევანდელი რჩეული დაასახელა. ეს არის 23 წლის სამხრეთ აფრიკელი თავდამსხმელი **შონ დანდი**. „კარლსრუეს“ ეს მოთამაშე მრავალ სუპერკლუბს სურს ჩაიგდოს ხელში. თავად შონი ამჟამად გერმანიის მოქალაქეობის მიღებას ელოდება და კლუბთანაც 2003 წლამდე აქვს დადებული კონტრაქტი. მიუხედავად ამისა, „კარლსრუეს“ იტალიის „სამპდორიის“ ხელმძღვანელებმა

(below); while
midfielder Pavel
Norway's
in Oslo
კლინსმანი

ჰელმერი

მიაშურეს – შონი მოგვეყიდეთ. როგორ დამთავრდება მათი მოლაპარაკება, მალე შევიტყობთ.

„აუქციონის“ წინა მიმოხილვაში შევატყობინეთ, რომ მიუნხენის „ბაიერნში“ მოთამაშე **იურგენ კლინსმანს** კლუბის შეცვლა განუზრახავს. ამჟამად მთელი გერმანია ბჭობს – სად წავა, რომელ კლუბს აირჩევს ვარსკვლავი. ამასწინათ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა გაზეთ „დი ველტის“ საშუალებით კლინსმანს საინტერესო წინადადებით მიმართა. იგი თვლის, რომ საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ იურგენმა და **თომას ჰელმერმა** მოღვაწეობა გერმანიის საფეხბურთო კავშირში უნდა გააგრძელონ: კავშირის პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი მზადაა მათთან კონტრაქტი გააფორმოს და ფოგტსის თანაშემწეებად გაამწესოს. ეს ამბავი რომ შეიტყო, კლინსმანმა განაცხადა – კარიერის დასრულების შემდეგ ერთწლიანი შვებულების აღებას ვაპირებ. მაშინ გამოჩნდება, შემიძლია თუ არა ფეხბურთის გარეშე არსებობაო.

ციგე

## ესპანეთი

ცნობილმა ნიგერიელმა ნახევარმცველმა **ემანუელ ამუნიკემ** რომ „ბარსელონასთან“ დადო ოთხწლიანი კონტრაქტი, ამის შესახებ წინა მიმოხილვაში ვიტყობინებოდით. ეგაა, მაშინ ჩვენთვის სატრანსფერო თანხა არ იყო ცნობილი. გამოცხადდა, რომ იგი 3,85 მილიონ დოლარს შეადგენს. შეგახსენებთ, ეს გარიგება ზაფხულში უნდა შემდგარიყო, მაგრამ ნიგერიელს მაშინ მარჯვენა მუხლის ტრავმა აღმოაჩნდა. წინა კვირას, ესპანეთში სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ „ბარსას“ თავკაცმა ინგლისელმა ბობი რობსონმა განაცხადა, რომ ამუნიკეს ტრავმა არ არის საშიში, ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობამ ნიგერიელთან კონტრაქტი გააფორმა. „ბედნიერი ვარ, რომ მალე ჩემს ლისაბონელ (ამუნიკე „სპორტინგიდან“ გადმოვიდა – რედ.) კოლეგასთან, ლუიშ ფიგუსთან ერთად ვითამაშებ“ – განაცხადა ახლადჩარიცხულმა ფეხბურთელმა.

ესპანური გაზეთების ცნობით, უახლოეს დღეებში გაძლიერდება „დეპორტივოც“: ამ გუნდში მოთამაშე 16 (!) უცხოელს კიდევ ორი შეემატება – ბრაზილიელი თავდამსხმელი **რეინალდო** და პორტუგალიელი მცველი **ჰელდერი**.

ჩვენ ვისზე ნაკლები ვართო – „ოვიედოშიც“ მატებაა. ოღონდ, ტრანსფერის განხორციელებაში ესპანურ კლუბს ფიფა დაეხმარა. საქმე იმაშია, რომ ნიჭიერი ესპანელი ფეხბურთელი **ხუან ხოსე ბორელი** საბერძნეთის „პანათინაიკოსის“ კუთვნილებაა და იგი წინააღმდეგი იყო ამ მოთამაშის გასხვისებაზე. ვინაიდან ბორელს ბერძნებთან კონტრაქტის ვადა გაუვიდა, ფიფამ კანონიერად ცნო „ოვიედოს“ პრეტენზიები და გამოიტანა გადაწყვეტილება – 1997 წლის 1 იანვრიდან ფეხბურთელი „ოვიედოს“ კუთვნილება არისო.

პროსინეჩკი (მარჯვნივ)

გაძლიერდა „სევილიაც“: ამასწინათ შეძენილ ბრაზილიელ ვარსკვლავს **ბებეტოს** კიდევ ერთი შეემატა – „ბარსელონიდან“ დათხოვნილი ხორვატი **რობერტ პროსინეჩკი**. „სევილიას“ მთავარი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამახო კარგა ხანია ლამობდა პროსინეჩკის გადმობირებას და, როგორც იქნა, წადილი აისრულა. „ელ პაისში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში მწვრთნელმა იმედი გამოთქვა, რომ პროსინეჩკი და ბებეტო ძლიერ შემტევ დუეტს შექმნიან და გუნდს კრიზისიდან გამოიყვანენ.

როგორც ხედავთ, ესპანეთის სატრანსფერო ბაზარზე დიდი გამოცოცხლებაა. ამ ქვეყნის კლუბები, ძირითადად, ფეხბურთელებს ყიდულობენ და უფრო იშვიათად ყიდიან. ისიც ნიშანდობლივია, რომ ისინი გერმანიას მიეძალნენ და ბუნდესლიგის გუნდებიდან ცდილობენ ფეხბურთელთა გადმობირებას. ამას თუნდაც ბოლო ორი მაგალითი მოწმობს. იგივე „ბარსა“ ავიღოთ. ნიგერიელი ამუნიკე როდი იკმარა, ახლა **კრისტიან ციგეს** გარშემო „ბაიერნსა“ და „მილანს“ შორის მოლაპარაკებაში ჩაერია და გერმანულ კლუბს ფეხბურთელში 10 მილიონი მარკა შესთავაზა (შეგახსენებთ, ციგეს კონფლიქტი აქვს „ბაიერნის“ პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერთან. მაშინ როცა მილანში გასხვისებაზე სასტიკი წინააღმდეგია გუნდის მთავარი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი). გერმანიაში კლუბ „ჰანზასთან“ მოსალაპარაკებლად ჩავიდნენ მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელებიც. ისინი ნიგერიელი ფორვარდით **ჯონათან აკპობორით** არიან დაინტერესებულნი. ამ შავკანიანმა ფეხბურთელმა წლევანდელ საფეხბურთო სეზონში უკვე 10 გოლი გაიტანა. „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ჰესუს ჰილი მზადაა ნიგერიელში 5 მილიონი დოლარი გადაიხადოს.

ბებეტო

## საფრანგეთი

იუგოსლავიური წარმოშობის ამერიკელმა მილიონერმა **მილან მანდარიჩმა** ფრანგული კლუბი „ნიცა“ შეიძინა. პირველ რიგში, მან კლუბის ზარალი შეავსო და მისი კაპიტალი 300 ათასიდან 1,8 მილიონ დოლარამდე გაზარდა. მეორე, რაც მილიონერმა მოიმოქმედა, იყო ის, რომ მთავარი მწვრთნელი გაათავისუფლა და მის ნაცვლად **სილვესტრ ტაკაჩი** (ისიც იუგოსლაველი) დანიშნა. ახლადდანიშნულმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ მისი მთავარი ამოცანაა „ნიცას“ ადგილი შეუნარჩუნოს უმაღლეს დივიზიონში (გუნდი აუტსაიდერთა რიგებშია).

## პოლონეთი

პოლონეთის სატრანსფერო ბაზარზე რეკორდი დამყარდა – ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე „ვიძევის“ თავდამსხმელი **მარეკ ციტკო** 6 მილიონ დოლარად შეფასებული. პოლონელის გადმობირებით ინგლისის „ლიდს იუნაიტედი“ და იტალიის „ინტერი“ დაინტერესებული.

## იტალია

**ნევიო სკალამ**, „პარმას“ რომ უეფასა და თასების მფლობელთა თასი მოაპოვებინა, განაცხადა – კარიერის გაგრძელება უცხოეთში მსურსო. იტყობინებიან, რომ იგი ინგლისს გაემგზავრა.

## აუქციონი

### მექსიკა

ამ ქვეყანაში რამდენიმე საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი ასპარეზობს – მიჩელი, ბოკერო, ბუტრაგენიო, ოშამ-ბიიკი, ეროვნულ ნაკრებს კი იუგოსლავი ბორა მილუტინოვიჩი უდგას სათავეში (ჯერჯერობით). უცხოელთა რიგებს კიდევ ერთი შეემატა – გერმანელი მწვრთნელი **ბერნდ შუსტერი**, რომელმაც კლუბ „მანთან" 1997 წლის ბოლომდე დადო კონტრაქტი.

### ინგლისი

ისედაც შეძლებული ინგლისური კლუბები, კიდევ უფრო მომძლავრდებიან, რადგან თავიანთ ძირითად სპონსორს, ლუდის მწარმოებელ ფირმა „ბასს" შეუთანხმდნენ ინვესტიციების გაორმაგებაზე. ეს ნიშნავს, რომ მომავალი საფეხბურთო სეზონიდან, ოთხი წლის განმავლობაში ფირმა 36 მილიონ გირვანქა სტერლინგს (59,3 მილიონი დოლარი) გაიღებს. ლიგის მესვეურებმა განაცხადეს, რომ ჰქონდათ სხვა სპონსორების წინადადებებიც, რომლებიც მეტ ფულს სთავაზობდნენ, მაგრამ კლუბებმა ძველ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვეს.

ინგლისური პრესა იტყობინება, რომ „არსენალმა" და ფრანგულმა „კანმა" თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. დოკუმენტი ითვალისწინებს ურთიერთდახმარებას „ახალგაზრდა ფეხბურთელების მომზადებისა და გაცვლის დარგში". მით უმეტეს პრეტენდენტიც არსებობს – იტალიის „მილანიდან" რამდენიმე თვის წინათ გადმოსულ პატრიკ ვიერაც ხომ „კანის" ახალგაზრდა მოთამაშეთა მომზადების ცენტრის აღზრდილია.

წინა მიმოხილვაში ვიუწყებოდით, რომ სახელგანთქმული პორტუგალიელი ფეხბურთელი პაულუ ფუტრე, ამჟამად „ვესტ ჰემში" რომ ირიცხება, ვერა და ვერ შეეწყო გუნდის თამაშის ყაიდას. ამას მუხლის ქრონიკული ტრავმაც დაერთო. ამიტომ 30 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ თამაშს თავს ანებებს. შეგახსენებთ, ფუტრეს კარიერა ლისაბონის „სპორტინგში" დაიწყო. 1987 წელს „პორტუს" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასიც მოიპოვა. „ვესტჰემამდე" ნახევარმცველმა კიდევ ხუთი გუნდი გამოიცვალა – ბილბაოს „ატლეტიკო", ლისაბონის „ბენფიკა", მარსელის „ოლიმპიკი", იტალიის „რეჯანა" და „მილანი".

ფუტრე

გაზეთ „სანის" ცნობით, განელმა ფორვარდმა **ენტონი იებოამ**, რომელიც ერთ დროს „აინტრახტში" კახი ცხადაძესთან ერთად გამოდიოდა, ამჟამად ინგლისის „ლიდს იუნაიტედში" გადასულმა, კატეგორიულად უარყო ხმები სხვა კლუბში გადაბარგების შესახებ.

მოამზადა
ჯემალ ჭიპაშვილმა

გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა

# ზამერი მწყობრში ჩადგა და

პირველი წრის დამთავრების შემდეგ გერმანიის ჩემპიონატში საზამთრო შესვენება გამოცხადდა. ამას დაერთო ეროვნული ფედერაციის ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ ნაკრები მონაწილეობას არ მიიღებს ე.წ. „მსოფლიო თასის" გათამაშებაში საუდის არაბეთში, სადაც მას უნდა ეთამაშა, როგორც ევროპის ჩემპიონს (გერმანელებს ვიცე-ჩემპიონები — ჩეხები შეცვლიან). ახლა საზამთრო შესვენების დროს მოეწყობა შეჯიბრებები მინი-ფეხბურთში, დახურულ დარბაზებში, და, რაც მთავარია, გუნდები შეეცდებიან ყველა მათ განკარგულებაში არსებული საშუალებით შემადგენლობის გაძლიერებას.

პირველი წრე დამაჯერებლად მოიგო მიუნხენის „ბაიერნმა", რომელმაც 17 თამაშის შემდეგ 36 ქულა მოაგროვა (10 მოგება, 6 ფრე, 1 წაგება, ბურთები 27-14). აღსანიშნავია, რომ გუნდში ბევრი წამყვანი ფეხბურთელი ტრავმირებულია. მეკარე კანი, რომელიც გერმანიაში სიძლიერით მეორედ ითვლება, მცველი ჰელმერი, შუა ხაზის მოთამაშეები შოლი და შტრუნცი, იტალიელი თავდამსხმელი რიციტელი. ამის მიუხედავად, გერმანიის უმდიდრეს კლუბს საკმაო რეზერვები აღმოაჩნდა. დაცვა ბუნდესლიგაში კვლავინდებურად უდავოდ უძლიერესია. რაც შეეხება თავდასხმას, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, 6 კლუბს მასზე უკეთესი შედეგები აქვს. კლინსმანი რომ კლინსმანია, ისიც კი ჯერჯერობით მაინცდამაინც არა ბრწყინავს, თუმცა მისი გოლი ბოლო, მეჩვიდმეტე ტურში ერთგვარად საიუბილეო გამოდგა — მესე ამ დიდი ფეხბურთელის ბუნდესლიგაში ჩატარებულ მატჩებში. ამასთან, კლინსმანმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მეორე წრისათვის სიამოვნებით გადავიდოდა საზღვარგარეთის რომელიმე კლუბში (რომელში?!), რადგანაც, როგორც ჩანს, „ბაიერნის" დირექტორატთან მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არა აქვს. ამას მოჰყვა კლუბის პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერის დაუყოვნებლივი რეაქცია: „ჩვენ არავის ძალით არ ვაკავებთ. ვისაც ჩვენთან არა სურს..."

„საშემოდგომო ჩემპიონის" მთავარ მეტოქედ ახლა მოქმედი ჩემპიონი, დორტმუნდის „ბორუსია" ითვლება. მან ძალიან მარცხიანად დაიწყო პირველობა და სამი წაგების შემდეგ სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში აღმოჩნდა. თუ მწვრთნელი ოტო ჰიტცფელდი დიდხანს უჩიოდა არაერთი წამყვანი ფეხბურთელის არყოფნას, შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ მწყობრში ჩადგა ზამერი, ურომლისოდაც „ბორუსიას" თამაში მართლაც წარმოუდგენელია. და აი, წრის მეორე ნახევარში „ბორუსიას" მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. ბოლო 8 მატჩიდან 5 მოიგო და 3 ფრედ დაასრულა. ახლა იგი 34 ქულით (10 მოგება, 4 ფრე, 3 წაგება, ბურთები 36-18) მეორე ადგილზეა და, რა თქმა უნდა, ჩემპიონობის დათმობაზე არც კი ფიქრობს.

თუ „ბაიერნისა" და დორტმუნდის „ბორუსიის" მაღალი შედეგები არავის უკვირს, ლევერკუზენის „ბაიერ 04"-ის წარმატება გარკვეულ სიურპრიზად ითვლება. ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს ეყოფათ ლევერკუზენელებს რეზერვები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი მესამე ადგილზე არიან (34 ქულა, 10 მოგება, 4 ფრე, 3 წაგება, ბურთები 38-22) და შინაარსიან თამაშსაც უჩვენებენ. ჩემპიონობის კიდევ ერთ პრეტენდენტად ითვლება ტრადიციულად ძლიერი „შტუტგარტი". მართალია, მან წააგო ბოლო ტურის შეხვედრა ბილეფელდში „არმინიასთან" 0-2, მაგრამ შეინარჩუნა მეოთხე ადგილი (31 ქულა, 9 მოგება, 4 ფრე, 4 წაგება, ბურთები 39-19). მის შემადგენლობაში კვლავინდებურად ძლიერად თამაშობს თავდამსხმელთა დუეტი ბობიჩისა და ელბერის შემადგენლობით.

სატურნირო შუაგულში მყოფი 11 კლუბი ცვალებადი წარმატებით თამაშობს და ყოველ შემთხვევაში, „უეფას ზონაში" მოხვედრის მეტ-ნაკლები შესაძლებლობები აქვს. აი სამი აუტსაიდერი კი მკვეთრად გამოიკვეთა. ესენი არიან: როსტოკის „ჰანზა", ისეთი დიდი ტრადიციების კლუბი, როგორიც მიონხენგლადბახის „ბორუსიაა" (მათ 15-15 ქულა აქვთ) და „ფრაიბურგი" (13 ქულა), რომელიც ორიოდე წლის წინ სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. მიონხენგლადბახელებს ასეთი მარცხი საერთოდ არ ახსოვთ, ახლა კი ბუნდესლიგაში მეტად ნეგატიური რეკორდი დაამყარეს. საქმე ის არის, რომ პირველ წრეში მეტოქის მინდვრებზე მათ ერთი გოლიც კი არ გაუტანიათ, საერთოდ კი 12 გოლით ბუნდესლიგაში უკანასკნელ ადგილზე არიან. მართალია, მათ ცალკეული (ძალიან ცოტა) წარმატებებიც ჰქონდათ. აქ, მაგალითად, ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ მათი გამარჯვება მეშვიდე ტურში ჩემპიონთან, დორტმუნდის „ბორუსიასთან" ანგარიშით 5-1. ახლა, როცა გუნდმა უკვე 10 მატჩი წააგო, მისმა დირექტორატმა, გასაგებია, მეტი ვეღარ მოითმინა და გაათავისუფლა მწვრთნელი ბერნდ კრაუსი. თუ რამდენად უშველის ეს საქმეს, ცხადია, მომავალი დაგვანახვებს. ისე კი, ხელის ჩაქნევა სამივე აუტსაიდერისათვის, ახლა, რა თქმა უნდა, ძალიან ადრეა.

ბუნდესლიგაში, როგორც ყოველთვის, ცხარე ბრძოლაა სნაიპერთა შორის. საყურადღებოა, რომ ჯერჯერობით აქ უპირატესობა ლეგიონერებს აქვთ. 13 გოლი გაიტანა სამხრეთაფრიკელმა დანდიმ („კარლსრუე"), რომელიც ადრე გამოირჩეოდა შედეგიანობით. 11 გოლის ავტორია ნაკრების ყოფილი წევრი კირსტენი („ბაიერი"), 10-10 კი გაიტანეს აკლობორიმ („ჰანზა"), ბობიჩმა („შტუტგარტი"), მაქსმა („შალკე-04"), პაულო სერჟიომ („ბაიერი") და ელბერმა („შტუტგარტი").

ბივი თორელი

ასახელებენ საუკეთესოებს

## ფრანგების რჩეულნი ფრანგები არიან

პოპულარული ფრანგული ჟურნალის „ონზე მონდიალის" მკითხველთა გამოკითხვით 1996 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი, ფრანგი ერიკ კანტონა. მეორე ადგილზე გავიდა იტალიის „მილანის" ლიბერიელი ლეგიონერი, თავდამსხმელი ჯორჯ ვეა, მესამეზე — გერმანელი მცველი, დორტმუნდელი მატიას ზამერი.

საუკეთესო მწვრთნელთა სიაშიც ფრანგთა რჩეული ფრანგია — „ოსერის" მწვრთნელი გი რუ. მეორეა გერმანელი ბერტი ფოგტსი, მესამე — ფრანგი ლუის ფერნანდესი

## ინგლისელთა კი — ბრაზილიელი და გერმანელი

აი, ინგლისური „უორლდ სოკერის" მკითხველებმა კი ამა წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად „ბარსელონაში" მოთამაშე ბრაზილიელი ლეგიონერი რონალდო დაასახელეს. მეორე ადგილზე გავიდა ინგლისელი ალან შირერი, მესამეზე—ჯორჯ ვეა.

მწვრთნელთაგან ინგლისელთა რჩეულია ბერტი ფოგტსი, ნიგერიის ნაკრები კი მსოფლიოს საუკეთესო გუნდად მიიჩნიეს.

## „ფრანს ფუტბოლმა" მათიას ზამერი დაასახელა?

გერმანული გაზეთ „დი ველტის" ცნობით, „ფრანს ფუტბოლის" მიერ ევროპის 1996 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ჩატარებული გამოკითხვის შედეგად პირველ ადგილზე დორტმუნდის „ბორუსიისა" და გერმანიის ეროვნული ნაკრების ლიბერო მათიას ზამერი გავიდა, მეორე-მესამე ადგილი წილად ხვდათ „ბარსელონას" ბრაზილიელ ლეგიონერს რონალდოს და ნიუკასლელ ალან შირერს.

# აზია-96

10 შესარჩევ ჯგუფში გამოვლინდა ფინალური ტურნირის ათივე მონაწილე. მათ დაემატნენ იაპონია — წინა გათამაშების გამარჯვებული და არაბეთის გაერთიანებული ემირატები — მასპინძელი ქვეყანა.

ფინალური ასპარეზობის ჯგუფური ტურნირის შემდეგ ბრძოლა 8 კოლექტივმა განაგრძო: არაბეთის გაერთიანებული ემირატების, კუვეიტის, სამხრეთ კორეის, ირანის, ერაყის, საუდის არაბეთის, იაპონიისა და ჩინეთის გუნდებმა. მეოთხედფინალურ მატჩებში აღინიშნა ასეთი შედეგები: ერაყი — საემიროები 0-1, კუვეიტი — იაპონია 2-0.

ნახევარფინალები 18 დეკემბერს ჩატარდება, ფინალი და მატჩი მესამე ადგილისათვის — 21 დეკემბერს.

აქვე გთავაზობთ აზიის თასის გათამაშების ლაურეატებს:

1956 — სამხრეთ კორეა,
1960 — სამხრეთ კორეა,
1962 — ისრაელი,
1968 — ირანი,
1972 — ირანი,
1976 — ირანი,
1980 — კუვეიტი,
1984 — საუდის არაბეთი,
1988 — საუდის არაბეთი,
1992 — იაპონია.

## მეორე ჯგუფი

### საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ბოლო კვირას გაიმართა პირველი წრის უკანასკნელი ტურისა და ზოგიერთი გამოტოვებული მატჩი: დურუჯი — ავაზა 2-2, დინამო-2 — თორი 10-0, არმაზი — ქინერი 9-3, ასკ — მრეტები 3-1, ლოკომოტივი — 35-სტუ 1-0, მორკინალი — მესხეთი 8-2, შსს აკადემია — კოდაკო 3-0, შევარდენი-2 — ჭაბუკიანი 1-0, სამგორი — ცხინვალი 1-3, ცხინვალი — ასკ 1-0, დინამო-2 — სამგორი 8-0 აი, საბოლოოდ, როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი ორივე ზონაში პირველი წრის შემდეგ.

### აღმოსავლეთი ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი (თბილისი) | 19 | 17 | 2 | 0 | 43-7 | 53 |
| მორკინალი (თბილისი) | 19 | 15 | 3 | 1 | 50-8 | 48 |
| ცხინვალი | 19 | 13 | 0 | 6 | 36-20 | 39 |
| დინამო-2 (თბილისი) | 19 | 11 | 4 | 4 | 59-18 | 37 |
| არმაზი (მცხეთა) | 19 | 11 | 2 | 6 | 47-31 | 35 |
| შსს აკადემია (თბილისი) | 19 | 10 | 3 | 6 | 47-21 | 33 |
| კოდაკო (თბილისი) | 19 | 10 | 3 | 6 | 28-23 | 33 |
| შირაქი (დედოფლისწყარო) | 19 | 7 | 8 | 4 | 27-25 | 29 |
| 35-სტუ (თბილისი) | 19 | 7 | 6 | 6 | 37-25 | 27 |
| იბერია (ქარელი) | 19 | 8 | 1 | 10 | 25-29 | 25 |
| თორი (ბორჯომი) | 19 | 7 | 2 | 10 | 16-37 | 23 |
| ჟინერი (ჟინვალი) | 19 | 6 | 3 | 10 | 31-59 | 21 |
| მრეტები (თბილისი) | 19 | 5 | 6 | 8 | 27-30 | 21 |
| შევარდენი-2 (თბილისი) | 19 | 6 | 1 | 12 | 21-32 | 19 |
| სამგორი (გარდაბანი) | 19 | 5 | 3 | 11 | 22-40 | 13 |
| დურუჯი (ყვარელი) | 19 | 3 | 4 | 12 | 15-50 | 13 |
| მესხეთი (ახალციხე) | 19 | 3 | 2 | 14 | 19-54 | 11 |
| ჭაბუკიანი (ლაგოდეხი) | 19 | 1 | 6 | 12 | 15-29 | 9 |
| ავაზა (თბილისი) | 19 | 2 | 2 | 15 | 15-38 | 8 |

### დასავლეთი ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი (ჭიათურა) | 16 | 15 | 0 | 1 | 56-15 | 45 |
| მეშახტე (ტყიბული) | 16 | 15 | 0 | 1 | 38-12 | 45 |
| მერცხალი (ოზურგეთი) | 16 | 13 | 0 | 3 | 45-17 | 39 |
| იმერეთი (ხონი) | 16 | 9 | 2 | 5 | 34-21 | 29 |
| ოლიმპია (ხობი) | 16 | 9 | 1 | 6 | 29-27 | 28 |
| საპოვნელა (თერჯოლა) | 16 | 7 | 5 | 4 | 34-29 | 26 |
| სალხინო (მარტვილი) | 16 | 8 | 1 | 7 | 29-26 | 25 |
| სამეგრელო (ჩხოროწყუ) | 16 | 6 | 4 | 6 | 30-29 | 22 |
| კოლხეთი-2 (ფოთი) | 16 | 7 | 2 | 7 | 26-29 | 18 |
| სულორი (ვანი) | 16 | 5 | 3 | 8 | 16-25 | 18 |
| სქური (წალენჯიხა) | 16 | 4 | 4 | 8 | 18-24 | 16 |
| მამისონი (ონი) | 16 | 4 | 3 | 9 | 27-40 | 15 |
| ეგრისი (სენაკი) | 16 | 4 | 5 | 7 | 17-25 | 12 |
| ტორპედო-2 (ქუთაისი) | 16 | 3 | 3 | 10 | 13-39 | 12 |
| კახაბერი (ხელვაჩაური) | 16 | 3 | 2 | 11 | 20-54 | 11 |
| დინამო-2 (ბათუმი) | 16 | 3 | 2 | 11 | 14-30 | 11 |
| ოდიში-2 (ზუგდიდი) | 16 | 1 | 3 | 12 | 7-27 | 6 |

**შენიშვნა:** მოქმედი დებულების თანახმად „სამგორს", „კოლხეთი-2"-ს და „ეგრისს" მოაკლდათ 5-5 ქულა.

## ლობანოვსკი – ნაკრების კონსულტანტი

კიევის „დინამოსთან" მუშაობის გარდა, ვალერი ლობანოვსკის დაევალა ეროვნული ნაკრების კონსულტანტის მოვალეობაც.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის გაფართოებულ სხდომაზე დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს ნაკრების ხელმძღვანელობის (მწვრთნელები იოჟეფ საბო და ლეონიდ ბურიაკი) მუშაობა, თუმცა ცხარე კამათის შემდეგ მისი მუშაობა (გუნდს მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში სამი მატჩის შემდეგ 6 ქულა აქვს) მაინც დამაკმაყოფილებლად შეფასდა, პლენუმმა არ მიიღო ნაკრების მზადების ის გეგმა, რომელიც მწვრთნელებმა წარუდგინეს და გადაწყდა, რომ შემდეგში ისინი ყველაფერს შეუთანხმებენ სპეციალურ საბჭოს, რომელსაც ლობანოვსკი უხელმძღვანელებს.

პლენუმის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ კონტრაქტები არც საბოსთან და არც ბურიაკთან ჯერჯერობით ხელმოწერილი არ არის, და, შეიძლება, აქ რაიმე ცვლილებაც მოხდეს. კიდევ ერთი სიახლე: ახლა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაეხმარება ნაკრებს, უპირველეს ყოვლისა, ძლიერი სპარინგ-პარტნიორების მოძებნაში. ყოველივე ეს კი იმიტომ კეთდება, რომ ნაკრებს ამოცანად უსახავენ მსოფლიო პირველობის ფინალში გასვლას. ნაკრების ინტერესებს უნდა დაექვემდებაროს უკრაინის პირველობის კალენდარიც.

ერთი სიტყვით, გადაწყდა ქვეყნის ყველა წამყვანი სპეციალისტის ძალების კონცენტრაცია საბოლოო შედეგის მისაღწევად. ამიერიდან ყოვლად დაუშვებლად არის მიჩნეული რაიმე შინაური კინკლაობა და ნაკრების მუშაობის თუნდაც ოდნავი შეფერხება.

## რომანცევი დაბრუნდა

მას შემდეგ, რაც რუსეთის ნაკრებმა ევროპის პირველობაზე მარცხი განიცადა, ოლეგ რომანცევი არა მარტო გადადგა მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან, არამედ მოსკოვის „სპარტაკსაც" კი აღარ წვრთნიდა. ამ გუნდს იური იარცევი ჩაუდგა სათავეში, თუმცა იგი არ მალავდა, რომ რომანცევი, რომელიც მხოლოდ „სპარტაკის" პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, შეიძლებოდა მალე დაბრუნებულიყო. ამასობაში „სპარტაკმა" ჩემპიონობა მოიპოვა, იარცევი კი რუსეთის №1 მწვრთნელად აღიარეს.

და მაინც რომანცევი დაბრუნდა. კვირას მან ჩაატარა პირველი ვარჯიში, როგორც მოსკოვის „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა, იარცევი კი, როგორც ეს ზაფხულამდე იყო, გუნდში დარჩა და მეორე მწვრთნელის მოვალეობას შეასრულებს.

# ვახტანგ იაგორაშვილი „თავისუფლებას“ ითხოვს

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო თანამედროვე ხუთჭიდელი, სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ვახტანგ იაგორაშვილი, როგორც ცნობილია, აშშ-ში ცხოვრობს ამ ბოლო წლებში და იქ შეგირდებთან ერთად თავადადაც აგრძელებს ვარჯიშს. იგი ჯერ მხოლოდ 32 წლისაა, რაც ხუთი სახეობის რაინდებისთვის სულაც არ ითვლება „საპენსიო ასაკად“. ბევრს 40 წლის ასაკამდეც გაუხანგრძლივებია „სპორტული სიცოცხლე“ – სამაგალითოდ თუნდაც ერევნელი იგორ ნოვიკოვი გავიხსენოთ. ასეა თუ ისე, ვახტანგს თამამად შეუძლია სიდნეის თამაშებში, 2000 წელს სრული შემართებით იასპარეზოს, რასაც აპირებს კიდეც, ოღონდ... ოღონდ საკუთარი სამშობლოს სპორტული ორგანიზაციებისგან ითხოვს თავისუფალი სპორტსმენის სტატუსს. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება – ვახტანგ იაგორაშვილი საქართველოს სახელით ვეღარ იასპარეზებს თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენს ქვეყანას მისი ამერიკაში შენახვისა და მზადების ხარჯების ანაზღაურება არ შეუძლია. სპორტსმენიც ამიტომ ითხოვს „თავისუფლებას“. ამერიკელები იმ შემთხვევაში გაიღებენ სოლიდურ თანხებს მის მოსამზადებლად, თუ ვახტანგი მომავალ ოლიმპიადაზე ამ ქვეყნის სახელით იასპარეზებს. ასე რომ, მომავალში კიდევ ერთ ქართველ ოლიმპიელს ვიხილავთ უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ. აქვს კი ვინმეს უფლება განსაჯოს სამშობლოდან შორს წასული სპორტსმენის გადაწყვეტილება? ალბათ არა. ჯერ ერთი, როცა აქედან მიდიოდა, „კალთები არავის დაუხევია“ მისთვის, არიქა, დარჩი, სად მიდიხარ, აგერ ჩვენ და აგერ შენო! მეორეც – ატლანტის თამაშებისთვის მის მოსამზადებლად იმდენი ფული გაიღო ჩვენმა ქვეყანამ, რამდენიც საჭირო იყო... მხოლოდ ლიცენზიის მოსაპოვებლად. იქ ატლანტაში კი ვახტანგს განსაკუთრებით ცხენზე მოეცარა ხელი. არა იმიტომ, რომ ცუდი მერანი შეხვდა, პირიქით, სხვა მხედარს, იმ მართლაც მერანმა, სოლიდური ქულები მოუტანა. საქმე იმაშია, რომ ამერიკაში (სხვაგანაც) ცხენზე დაჯდომა ძალზე ძვირადღირებული სიამოვნებაა და ჩვენს სპორტსმენს მუქთად არავინ ავარჯიშებდა. ის თანხა კი მაშინ ყველაფერს ვერ გაწვდა. ერთი სიტყვით, ფაქტი ფაქტად რჩება – მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თანამედროვე ხუთჭიდელი „ეროვნულ მაისურს იცვლის“.

რა ეღირება ახლა ვახტანგ იაგორაშვილის „თავისუფლება?“

# შილტონი ათასს უახლოვდება

*(მესამე გვერდიდან)*

პის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ქულა დააკარგვინა.

მას შემდეგ, რაც 1972-ში ნაკრებიდან ბენქსი წავიდა, შილტონს ყველა შანსი ჰქონდა გუნდის პირველი მეკარე გამხდარიყო, მაგრამ კვლავ არ გაუმართლა — ამჯერად პოლონელი დომარსკის მიერ გაგზავნილი ადვილი ბურთი ვერ მოიგერია. ამის გამო ინგლისმა ეს მატჩი ვერ მოიგო (ფრე, 1-1) და 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მიღმა დარჩა. ამის შემდეგ შილტონს უიღბლო მეკარის რეპუტაცია შეექმნა.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ნაკრების ახალმა მწვრთნელმა დონ რივიმ, ალფ რამსეი რომ შეცვალა, პირველ მეკარედ ლივერპულელი რეი კლემენსი დააყენა. ამ პერიოდში შილტონი ჯერ „ლესტერში“ ბრწყინავდა, რის გამოც არც თუ ისე დიდ თანხაში „სტოკ სიტის“ მიჰყიდეს.

პიტერ შილტონის ბიოგრაფიაში გარდამტეხი 1977 წელი აღმოჩნდა, როდესაც იგი „ნოტინგემ ფორესტში“ გადავიდა. სწორედ აქ გაიფურჩქნა მისი ნიჭი: ამ საფეხბურთო სეზონში შილტონმა, არჩი გემილმა, ჯონ რობერტსონმა, ტონი ვუდკოკმა „ფორესტს“ ინგლისის ჩემპიონობა მოაპოვებინეს. იმავე წელს გუნდმა ლიგის თასიც დაისაკუთრა. შემდეგი, 1979 წელი, შილტონისა და „ფორესტისთვის“ უფრო იღბლიანი გამოდგა — გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, ერთ თვეში კი კვლავ ლიგის თასს დაეუფლა. „ფორესტმა“ ანალოგიური წარმატება 1980-შიც გაიმეორა. და აი, ამდენი წარმატების შემდეგ გუნდი კრიზისმა მოიცვა. „ფორესტი“ ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. მათ შორის შილტონიც იყო, რომელიც „საუთჰემპტონში“ გადავიდა.

ისე მოხდა, რომ მსოფლიოს საფეხბურთო საზოგადოებამ შილტონი ფეხბურთელისთვის უფრო ხანდაზმულობის პერიოდში გაიცნო, როდესაც 80-იან წლებში კლემენსთან სასტიკი კონკურენციის შედეგად კვლავ ნაკრების პირველი მეკარე გახდა. ესპანეთში, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შილტონმა ხუთ მატჩში მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა. პიტერი იმ პერიოდში კლუბებშიც ბრწყინავდა („საუთჰემპტონიდან“ „დერბიში“ გადავიდა).

პიტერ შილტონი

მოკლედ, 1990 წლამდე შილტონი ინგლისის ნაკრების ძირითადი მეკარე იყო. პიტერმა მის შემადგენლობაში 125 მატჩი ჩაატარა! ყველას ეგონა, პრემიერლიგაშიც მეათასეს ათამაშებდნენ, მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნეთ, არ დააცადეს: პროფესიული სპორტის კანონები ულმობელია.

**P.S.** მასალა მზად იყო დასაბეჭდად, როდესაც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს შემდეგი ცნობა: ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ (თითქოსდა ჩვენს გულში იჯდაო — რედ.) გადაწყვიტა გამორჩეულად აღნიშნოს პიტერ შილტონის მიღწევა — ამ დღეებში ინგლისის სხვადასხვა ლიგებში იგი მეათასე შეხვედრას ჩაატარებს. გადაწყდა მოედანზე დიდი ტორტის შეტანა, რომელზეც ათასი სანთელი ენთება..

# რა ხდება ქვეყანაზე

გაუგონარი ამბავი მოხდა – 8-გზის მსოფლიო ჩემპიონს, 51 წლის ფრანგ მოთხილამურე ქალს მარელ გუაჩელს კიდევ ერთი, რიგით მეცხრე ჩემპიონობა მიულოცეს, ოღონდ... 30 წლის დაგვიანებით. რაშია საქმე?

თურმე, 1966 წლის მსოფლიო პირველობაზე ჩილეს ქალაქ პორტიოს მახლობლად რომ გაიმართა, ოქროს მედალი ავსტრიელ ერიკა შინეგერს მოუგია, მეორე ადგილი კი გუაჩელს დაუკავებია. ავსტრიელი მერე კაცი გამომდგარა – მან ოპერაცია გაიკეთა, სქესი შეიცვალა და მალე მამობაც მიულოცეს. ამიტომ სამართალმა პური ასე დაგვიანებით ჭამა.

# საბინე აპელმანსი ჩოგბურთის ახალი სექს-სიმბოლო

სექს-სიმბოლოებად კი არ იბადებიან — ხდებიან. კარგა ხანს ჩოგბურთის მოყვარულები დადიოდნენ არგენტინელი გაბრიელა საბატინის საყურებლად. მათ მოსწონდათ გაბის „სექსუალობა“ კორტზეც კი. მაგრამ გავიდა ხანი და გაბიც აქტიურ სპორტს შეეშვა. რასაკვირველია, გაჩნდა „ახალი გაბის“ მოთხოვნილება. ასეთად ამ ბოლო დროს მიიჩნევენ 24 წლის ბელგიელ ჩოგბურთელ **საბინე აპელმანს**.

აი რას ყვება საბინე თავის თავზე: „დავიბადე პატარა ბელგიურ ქალაქ ელსტში. მყავს დედ-მამა, ძმა. ბავშვობიდან მიყვარს ცურვა, წყლის თხილამურები, კალათბურთი. და მაინც, ყველა სახეობას ჩოგბურთი ვამჯობინე.. ორივე ხელს ერთნაირად ვხმარობ, უფრო ძლიერი მარცხენაა.

რამდენი ტურნირი მაქვს მოგებული? არ მახსოვს ზუსტად — ნეშვილში, პოტაიეში, პორტუში, ზაგრებში. გავედი ფინალში ისეთ შეჯიბრებაში, როგორიცაა ტურნირი ოკლენდში, ბუდაპეშტში, იაპონიის ღია ჩემპიონატში, მოსკოვში. ჰო, მოსკოვში კარგი ტურნირი იყო, თუმცა ამ ქალაქმა მარტო ჩოგბურთით არ დამამახსოვრა თავი. მოსკოვში სიმპათიური ბიჭები ცხოვრობენ. მათთან სექსის შემდეგ უფრო ძლიერად ვითამაშე... საერთოდ, მიყვარს სექსი, კარგი რამ არის...“

1996 წლის 15 დეკემბერს გაიმართა „სპორტლოტო 5-36 დან“ 24-ე ტირაჟის გათამაშება. ტირაჟზე დაშვებული იყო 4978 ვარიანტი.

მოგებული ციფრები:

**7, 26, 6, 15, 5.**

ხუთი და ოთხი ციფრი ვერავინ ამოიცნო. სამი ციფრის ამოცნობისათვის (87 ვარიანტი) —— 5 ლარი.

მოგებები განაღდდება 1996 წლის 18 დეკემბრიდან 1997 წლის 18 იანვრის ჩათვლით.

მორიგი, 25-ე ტირაჟი გაიმართება 22 დეკემბერს. ამ ტირაჟისათვის „ჯეკ-პოტი“ შეადგენს 3426, 30 ლარს. ამასთან, გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

1996 წლის 14 დეკემბერს გაიმართა ლატარია „სპორტპროგნოზის“ მეხუთე ტირაჟი, რომელშიც მონაწილეობდა 1354 ვარიანტი.

**ტირაჟის შედეგები:**

1. ესპანეთი — იუგოსლავია 2:0
2. ბელგია — ჰოლანდია 0:3
3. უელსი — თურქეთი 0:0
4. პორტუგალია — გერმანია 0:0

ოთხი შეხვედრის ანგარიშის გამოცნობა ვერავინ შეძლო, სამი შეხვედრის ანგარიშის გამოცნობისათვის (6 ვარიანტი) — 18,00 ლარი.

მორიგი მეექვსე ტირაჟი გაიმართება 22 დეკემბერს. „ჯეკ-პოტი“ ამ ტირაჟისათვის შეადგენს 592,50 ლარს.

შეგახსენებთ მეექვსე ტირაჟის პროგრამას:

ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები:

**იტალიის ჩემპიონატი**

1. მილანი — პარმა;
2. ნაპოლი — ლაციო.

**ესპანეთის ჩემპიონატი**

3. სპორტინგი — დეპორტივო.
4. ტენერიფე — ესპანიოლი

ბილეთების „ბ“ ნაწილების ჩაბარების ბოლო ვადა რეგიონებში — 19 დეკემბერი, ქ თბილისში — 20 დეკემბრის 12 საათამდე.

გისურვებთ წარმატებას!

**საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი**

ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲥᲚᲔᲕᲐ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ

თუ გსურთ აისრულოთ ეს ოცნება – შეიძინეთ ავტომანქანების სამრეცხაო, რომელსაც მონტაჟით და გარანტირებული მომსახურებით გთავაზობთ ფირმა „იტალავტო“. ტელეფონი თბილისში: 29-91-95, 29-46-34.

# კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 6. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟი ფრენბურთში, 9. ზუგდიდის საფეხბურთო გუნდ „ოდიშის“ მეკარე, 11. ინდოელი მოჭადრაკე, დიდოსტატი, 12 მოკრივეთა სასპარეზო, 14. თბილისის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელი, ეროვნებით ბერძენი, 18. ისრაელის ცნობილ საკალათბურთო გუნდი, 20. საფეხბურთო სკოლა თბილისში 21. ცნობილი გერმანელი მწვრთნელი ფეხბურთში, 22. ქართვე ლი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში 23. ახლო წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი თავდამსხმელი, 24. წარსულში „ლივერპულის“ ფეხბურთელი მეკარე.

**შვეულად:** 1. საჭადრაკო თავსატეხი, 2. მორაგბეთა გუნდ საქართველოში, 3. ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე პირველი ლიგის გუნდი, 4. ცხენის ოთხით სვლა ქროლვა, 7. ცნობილი ჩეხი ჰოკეისტი, 8. საჩოგბურთო მწვრთნელი საქართველოში, 10. მეცნიერება, რომელიც დიდა ეხმარება სპორტს, 12. საფარიკაო იარაღი, 13. საქართველო საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე პირველი ლიგის გუნდი 15. ნიჩბოსნის ინვენტარი, 16. ტერმინი რაგბიში, 17. ცნობილ საკალათბურთო კლუბი ესპანეთში, 19. ლეგენდარული რუს ფეხბურთელი, მეკარე, 21. დინჯი, აუღელვებელი სპორტსმენი ტიპი.



**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხებ**

**თარაზულად:** 5. მალდინი, 7. ბრინჯაო, 8. სკარამუში, 11 ჰენტო, 12. გაგუა, 13. „ჰერტა“, 16. სატირა, 17. „ალანია“ 21. ტოკიო, 22. „სიონი“, 23. ნეონი, 26. მელოდრამა, 27 ანაკლია, 28. აგრესია.

**შვეულად:** 1. გალერეა, 2. შნეკი, 3. შროშა, 4. ბალასტ 6. ფლანგი, 9. ატესტაცია, 10. ჰემინგუეი, 14. „პორშე“, 15 გოლფი, 18. ბოსტონი, 19. სორდი 20. ანარქია, 24. შელია, 25. ამაგი

# მფრინავი „ადამი“

1988 წლის თეთრ ოლიმპიადაზე კალგარიში (კანადა) ინგლისელმა „მფრინავმა მოთხილამურემ“, „არწივმა“ **ედი ედვარდსმა**, რომელმაც ბოლო ადგილი დაიკავა, იმით გაითქვა სახელი, რომ განიზრახა ტრამპლინიდან შიშველი გადმოხტეს.

32 წლის სპორტსმენის განცხადებით, იგი პირველად გამოვა ამდაგვარად 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, ხოლო 1998 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, ნაგანოში (იაპონია) ოქროს მედლისათვის იბრძოლებს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სანამ თავის იდეას განახორციელებს, მას სურს ტრამპლინიდან გადმოხტეს „ტანსაცმელში“, რომელიც შეიცავს მხოლოდ თავის დასაცავ ჩაფხუტს. როგორც ედვარდსმა განაცხადა, „ასეთ სამოსში რომ მსოფლიო ჩემპიონატზე წარვსდგე, შეფასებისას დამატებით ქულებს მივიღებ მსაჯებისგან“-ო. კალგარის ოლიმპიადის დღეებში ედვარდსმა თავისი ექსცენტრული საქციელით და ოხუნჯობით, ბრიტანული სპორტის მოყვარულთა სიმპათიები დაიმსახურა.

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. კირილოვი, ა. სელივანოვი
(1986 წ.)



შამათი 3 სვლაში

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX.

•„ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ.სიმონიშვილი. შემსრულებლები ი. სიდამონიძე, მ. წოწორია, ნ.რამიშვილი